საერთო გაზეთი

№8 (600) • 10 მარტი, 2021წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1.50 ლარი

იგეგმება ნოდარ მელაძის და მაკა ჩიხლაძის მკვლელობა!

სკანდალური ინფორმაცია – არსებობს ბოლო დღეებში გაკეთებული ფარული ვიდეოჩანაწერი, სადაც სააკაშვილი ამბობს, რომ ამზადებს ჟურნალისტების მსხვერპლთშეწირვას – იგეგმება ნოდარ მელაძის და მაკა ჩიხლაძის მკვლელობა. ახლა აზუსტებენ მკვლელობის შემსრულებელთა კანდიდატურებს

კაპიტოლიუმში შეჭრა. დაკავებულია 400-მდე ადამიანი.

ღია წერილი

ევროსაბჭოს პრეზიდენტს ბატონ **შარლ მიშელს**

აშშ-ის ელჩს საქართველოში ქალბატონ **კელი დეგნანს**

ევროკავშირის ელჩს საქართველოში ბატონ **კარლ ჰარცელს**

შტურმი საქართველოს პარლამენტზე. დაკავებულია 1 ადამიანი გირაოს გადაუხდელობის გამო.

წითელი პრესა და კაგებებეშნიკი ქინძებისგან დატერორებული „ავანტყოფი“ ერი

მელიას გარდა კიდევ რამდენი „გმირი“ ჰყავს საქართველოს?

ქვეყანას გოგებაშვილი და უზნაძე ჰყავდეს და სხვაგან დაეძებდეს ეროვნული განათლების კონცეფციას, ეს უკვე დანაშაულია!

ხალხი უკვე იმ დონეზეა, მალე კომბლებით გამოეკიდება „ნაცებს“

საქართველო – საზღვაო ქვეყანა, რომელიც „ნაცებმა“ ზღვაში ჩაძირეს

„საერთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

ღია წერილი

ევროსაბჭოს პრეზიდენტს ბატონ **შარლ მიშელს**

აშშ-ის ელჩს საქართველოში ქალბატონ **კელი დეგნანს**

ევროკავშირის ელჩს საქართველოში ბატონ **კარლ ჰარცელს**

ძვირფასო მეგობრებო!

პირველყოვლისა, გვინდა გამოვხატოთ გულწრფელი მადლიერება იმ საქმიანობის გამო, რასაც თქვენ ეწევით საქართველოში მშვიდობის, სტაბილურობის შენარჩუნებისა და დემოკრატიული პროცესების განვითარების უზრუნველსაყოფად.

რომ არა თქვენი დიდი ძალისხმევა და მხარდაჭერა, საქართველოს გაუჭირდებოდა იმ დაბრკოლებების გადალახვა, რომელთა დაძლევაც მას თავისუფლებისა და დემოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სისტემატიურად უწევს.

აქვე გვინდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი ინტელიგენცია: კულტურის, მწერლობის და ხელოვნების მოღვაწენი და მთლიანად ცნობიერი ქართული საზოგადოება აღშფოთებულია იმ პოლიტიკური მოვლენებით, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება...

ჩვენთვის გაუგებარია ამერიკის და ევროკავშირის მაღალი რანგის მოხელეთა მიერ გამოთქმული საყვედური და კრიტიკა ჩვენი ხელისუფლების და სასამართლო-აღმასრულებელი ორგანოების მიმართ.

ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება რომ ჩვენ, ფაქტობრივად, გვიკრძალავენ, ან გვიზღუდავენ სამართლის აღსრულებას იმ დესტრუქციული (რევანშისტური) მოძალადეების მიმართ, რომელთაც სახელმწიფო ძალაუფლების ხელში ჩაგდება სურთ, ნებისმიერი ხერხით.

სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანას არ ჰყავს ჭეშმარიტად ღირსეული ოპოზიცია. შეიძლება ითქვას, რომ ესენი არიან „მეკობრეები“, რომელთაც „საკუთარი გემის“ ჩაძირვა უნდათ.

თუ ვინ არიან ესენი, ჩვენმა საზოგადოებამ ასე თუ ისე, იცის, მაგრამ ახლა ამერიკის და ევროკავშირის წარმომადგენელთა გასაგონად ვამბობთ და საგანგებოდ მივმართავთ, რომ ჩვენი ქვეყანა მაინცდამაინც იმ ტიპის ქვეყანა უნდა იყოს, სადაც არ ისჯებიან არანაირი დამნაშავენი, თუნდაც სახელმწიფო გადატრიალებაში მონაწილე რევანშისტები?

არ გქონდეს სამართალი და გქონდეს დემოკრატია, ეს შეუძლებელია — ასეთი სახელმწიფო წარმოუდგენელია! შესაძლოა, ამ ტიპის სახელმწიფო ოდესმე ევროკავშირისა და ნატოს წევრი გახდეს?!

თქვენს დიდ ქვეყნებში სახელმწიფოს კონსტიტუციაზე თავდასხმა და კაპიტოლიუმში შეჭრა „შიდა ტერორიზმად“ გამოცხადდა, ჩვენთან ასეთივე მოვლენა — შეჭრა, პარლამენტის შტურმი განა „ჭვავის ყანაში თამაშია“?! თქვენ თუ გინახავთ ეს 3-საათიანი ქაჯური იერიში, რომელსაც ნიკანორ მელია და მისი „გენერლები“ (ბოკერია-ოქრუაშვილ-უგულავები) სარდლობდნენ? თუ ასეთი რამ მისაღებია თქვენს ქვეყნებში, რატომ აღასრულეთ მართლმსაჯულება ესოდენ მკაცრად?

თუკი თქვენთან დაუშვებელი და მიუღებელია „შიდა ტერორიზმის“ არსებობა, ჩვენთან რატომ არის დასაშვები და ნაკლებად დასჯადი?!

არ გვსურს ასეთი სტანდარტით ცხოვრება: „დემოკრატია სამართლის გარეშე! — ეს ანარქიაა, ისევე, როგორც „გამოხატვის თავისუფლება“ მორალის გარეშე.

არ გვინდა, ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრდეს „დაუსჯელობის სინდრომი“ და სასამართლომ ერთი მელიას დასჯაც კი ვერ შეძლოს... როდესაც შიდა და გარე მტრების ხროვა გვახვევია და ებრძვის ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ისტორიას და კულტურას.

თქვენ განა არ იცით, ვინ არიან ამ ეგრეთ წოდებული ოპოზიციის ბელადები, თვითმარქვია ფსევდო-დემოკრატები, პარტიებს შეფარებული კრიმინალები, პოლიტიკური „ბლეფები“ და ცრუპატრიოტები?!.

მათ მოახერხეს რუსეთთან დღენახევრიანი ომის პროვოცირება და ქვეყნის ტერიტორიების 1/3 ჩააბარეს მტერს! მათ შორის ყველა სტრატეგიული ობიექტი და ამერიკული ტექნოლოგიები და იარაღი!

თქვენ, ალბათ, იცით, მათი ბოროტების და სადიზმის, მათი სისხლიანი ტირანიის ამსახველი კადრები. თქვენ, ალბათ, იცით, სამეგრელოს ტყეებში კასრებით გადამალული ფირები (კასეტები), ათასი ძალადობისა და კომპრომატების შემცველი.

სააკაშვილის რეჟიმმა უამრავი ახალგაზრდა ამოხოცა ქუჩებში და ჩაკლა საპყრობილეებში; ციხეებში ჩაყარა 30 000 ადამიანი, ხოლო 300 000 მოქალაქე პრობაციონერად აქცია. 4-მილიონიანი ქვეყნისთვის ეს ძალიან დიდი ციფრებია!

სამწუხაროდ, თქვენ ნაკლებად ელაპარაკებით ჩვენს ხალხს და ელაპარაკებით ამ პოლიტიკანებს, თავზე რომ გვაქცევენ ქვეყანას და სახელმწიფოს...

მიაყურადეთ ქართველი ხალხის ხმას და თქვენ დარწმუნდებით, რომ ქართველი ხალხის უმრავლესობისთვის აბსოლუტურად მიუღებელია ეს ოპოზიციური „კონგლომერატი“, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს ხალხის კეთილდღეობასთან და სახელმწიფოს შენებასთან.

მათ შექმნეს არჩევნების გაყალბების მოგონილი ვერსია-მითი და ამ სიცრუით ახორციელებენ ძალადობას სახელმწიფო ინსტიტუტებზე და ხალხის ნებაზე და მთლიანად გავიდნენ სამართლებრივი (კონსტიტუციური) სივრციდან...

თქვენს საყურადღებოდ საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი დღევანდელი ხელისუფლება არანაირად არ არის სახიფათო დემოკრატიისთვის და არც საზიანო ევრო-ამერიკული ინტერესებისთვის და, რაც მთავარია: ჩვენი დღევანდელი ხელისუფლება სანდოა საკუთარი ხალხისთვის ამ ურთულეს აპოკალიფსურ დროში.

აქ შეიძლება გავიხსენოთ გერმანელი სწავლულის (ფილოსოფოსის) კარლ იასპერსის ცნობილი გენიალური დებულება: „სახელმწიფოს საფრთხეს უქმნის არა ეს ხელისუფლება, რომელიც მის სათავეშია, არამედ ის ხელისუფლება, რომელიც გადამდგარია და ნებისმიერი ხერხით ცდილობს ძალაუფლების დაბრუნებას, ის არ ითვალისწინებს სხვა ინტერესს, გარდა საკუთარი ამბიციისა!..“

კარლ იასპერსის ეს დებულება მეტად მნიშვნელოვანია და მიესადაგება ჩვენს დღევანდელ ვითარებას, ვფიქრობთ, იგი საყურადღებოა ჩვენი მეგობარი უცხოელი დამკვირვებლებისთვისაც.

ბატონო ევროსაბჭოს პრეზიდენტო!

ქალბატონო ამერიკის ელჩო!

ბატონო ევროკავშირის ელჩო!

მოგიწოდებთ და მოგმართავთ თხოვნით: დაეხმარეთ ჩვენს სახელმწიფოს და ხელისუფლებას ფაშისტურ-ექსტრემისტული საფრთხეების არიდებაში, რასაც სააკაშვილის დამნაშავე ხუნტის ნარჩენები უქმნიან ქვეყანას...

ჩვენ მოგიწოდებთ, შეხვდეთ ქართველ ინტელიგენციას, მწიგნობარ, პატრიოტ საზოგადოებას, შემოქმედებით კავშირებს, მწერალთა და ხელოვანთა აკადემიებს, კინოსა და თეატრის მოღვაწეებს, ჩვენი ქვეყნის თემთა და კუთხეთა რჩეულ კაცებს. ამ შეხვედრას ჩვენ მოგიმზადებთ და თქვენთვის ნათელი გახდება — ვინ ვინ არის და რა უნდა ქართველ ერს!

პატივისცემით,

მწერალთა ეროვნული აკადემიის დარბაზის სახელით

ლერი ალიმონაკი, კობა არაბული, აკაკი გასვიანი, ვახტანგ ხარჩილავა, ბაღათერ არაბული, რეზო კვესელავა, ირაკლი ვაშაყმაძე, მარინე თექთუმანიძე, მარინე გიგინეიშვილი, ზურაბ თორია, ზაურ კალანდია, გურამ პეტრიაშვილი, ცოტნე ალბუთაშვილი, როსტომ მიგრიაული, ავთანდილ არაბული, გუჯა ბურდული, ვაჟა ხორნაული, ჯუბა ღებელი, ზაქრო გიგაური, გიორგი (ნაპო) კაკრიაშვილი, გური ოტობაია, ზელიმხან მაღრაძე, ბადრი (სვანაძე)-ინაშაური, ჯემალ ინჯია, ვაჟა ჩორდელი, ანზორ სიფრაშვილი, ვანო ჩხიკვაძე, მერაბ შათირიშვილი, ამირან დოლიძე, რობერტ ოდიშელიძე, სერგი საჯაია, ჯემალ დავლიანიძე, ერეკლე საღლიანი, ირაკლი პატაშური, თემურ შავლაძე, ზურაბ ქობალია.

ტექსტი განთავსდება ინტერნეტ სივრცეში, ითარგმნება ინგლისურ ენაზე და დაეგზავნება წერილის ადრესატებს.

კაპიტოლიუმში შეჭრა. დაკავებულია 400-ზე ადამიანი.

შტურმი საქართველოს პარლამენტზე. დაკავებულია 1 ადამიანი გირაოს გადაუხდელობის გამო.

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

წითელი პრესა და კაგებეშნიკი ქინძებისგან დატერორებული „ავანტყოფი“ ერი

ნაცავაზაკთა ბელადის დაპირებულმა „სიურპრიზმა“, რომელიც ნოდარ მელაძემ „ჩვეული ოსტატობით“ გააჴმოვანა – მალევე გაირკვა, რომ – ფაბრიკაციაა. „ნაცმოძრაობის“ კონტროლს დაქვემდებარებული წითელი მასმედია, კვლავ კაგებეშნიკური მეთოდებით ცდილობს ადამიანების დატერორებას და საზოგადოებაზე ფსიქოლოგიური შტურმის მიტანას.

წარსულში სოციალური ქსელით სწორედ კაგებეშნიკების აყვავებული ქინძის თემურ ალასანიას და მთავარი ქინძის სააკაშვილის მუქარის შემცველი საუბარი გავრცელდა, – ერთ მილიონს გადავიხდი, ვინც „სნაიპერესკი ვინტოვკით“ მოკლავს ივანიშვილსო!

„მიხეილ სააკაშვილი: ჩვენ ორი ელემენტის გაძლიერება გვჭირდება: რევოლუციური ახალგაზრდობის და მეორე, თბილისის **“middle class“**-ის, იმიტომ, რომ საბოლოო ჯამში რევოლუციას ეგენი ახდენენ. მანდ გვაქვს სერიოზული ჩავარდნა იმიტომ, რომ ამათ წარმოიდგინეს, რომ თბილისი ეს არის ბაზრობებზე სიარული და გლდანის მეტროში და ეგ, ეგრე არ არის. ისიც არის, მაგრამ გადამწყვეტი რევოლუციური მუხტი არის აი ეს **“Self made“** ბიზნესები თბილისის ცენტრში.

თემურ ალასანია: ჩვენი მომხრეები ეგენი არ არიან, თავიდანვე გითხარი. აი, ძალიან კარგად ვიცი, რომ ეს არ გამოვა.

მიხეილ სააკაშვილი: და თან, ამ სირებს რომ ჰგონიათ, რომ ამათთან რაღაც დიდს მიაღწევ.

თემურ ალასანია: არა. ეს არის „ავანტყოფი“ ერი რა. ეს არის... ამათ სანამ არ დაა... ვამ თავზე და სანამ დედას არ მოუ... ავ, ვერ იგებენ ვერაფერს რა.

მიხეილ სააკაშვილი: ეგრე იყო ეგ ხალხი მთელი ცხოვრება და ახლა რატომ იქნება...

თემურ ალასანია: მაგათი დედა მოვ...ან მე ქართველების „პროსტა“. ქართველების დედა მოვ...ან „პროსტა“. ვინ არიან ესენი ტო? ეს „ავანტყოფი“ ერი ვინ არის ტო? დავიღალე იცი „პროსტა“ აი ცდისგან. ვზივარ, ვზივარ, ვზივარ. რაღაც ზარებს ველოდები რაღაცას. მივდივარ-მოვდივარ... სულ რაღაცა ხვალ-ზეგ, აი, ახლა მოხდება, აი, ახლა მოხდება...“

ეს არის ნაცბანდის და მათი მხარდამჭერების უზუსტესი შეფასება – „ავანტყოფი სირები“. რაღაც არ მახსენდება ამ ჩანაწერზე „ავანტყოფი“ ნაცლიდერების შეშფოთება. ნუ, რუსეთის კლოუნს და მის ბიძას ყველაფერი ეპატიება... მძიმე მოსასმენია მკვლელების, ყაჩაღების, ყველანაირი სიბინძურის მკადრებლების, ქვეყნის და ხალხის გამანადგურებელი სექტის წარმომადგენლებისგან იმის მოთხოვნა, რომ თურმე ირაკლი ღარიბაშვილი, ჩუბინიძე და ბერაც უნდა გადადგნენ და გამოძიება დაიწყოს. აი, ბერა საიდან უნდა „გადადგეს“ უცნობია.

რაც შეეხება გამოძიებას, რაც მელაძის შოუში გავიდა არის სისხლის სამართლის დანაშაული – სსკ 158-ე მუხლი, ისჯება 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთით, ფარული მოსმენა და მერე გასაჯაროება, ისჯება გამვრცელებელიც და ისჯება ჩამწერიც, ბერა ივანიშვილი არ არის თანამდებობის პირი და როცა ეს ჩანაწერი (შემდეგ ფაბრიკაცია) გაკეთდა, თანამდებობის პირი არც ირაკლი ღარიბაშვილი გახლდათ და არც ანზორ ჩუბინიძე. აღნიშნულთან დაკავშირებით უპირობოდ უნდა დაიწყოს გამოძიება! „ქვეყანაში უსამართლობის აჩრდილი დაჰქრის“-ო, ოხრავდა მელაძე, რომელსაც ჯერ კიდევ „მიშას ხანაში“ ნანახი ექნებოდა ირაკლი ოქრუაშვილის, „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის წინააღმდეგ სატელევიზიო გამოსვლა, სადაც პირდაპირ ამხილა ნაცრეჟიმი -„ყოველდღიური რეპრესიები, სახლების და ეკლესიების რბევა, ძარცვა, ადამიანების გაკულაკება და კაცის კვლა, ამას მინდა ხაზი გავუსვა — კაცის კვლა იქცა ხელისუფლების ჩვეულებრივ წესად!“ ან, ნაცპრემიერ ვანო მერაბიშვილის გაცემული „სამართლიანი“ ბრძანება ორ გვამზე! თუმცა მაშინ „ავანტყოფმა სირებმა“ მხოლოდ ერთი — გია კრიალაშვილის გვამი მიართვეს და მისი ოჯახი დღემდე ცდილობს იმ დამნაშავეების დასჯას.

სოდ-ის ოპერატიულმა თანამშრომლებმა და შეიარაღებული სპეციალური რაზმის მებრძოლებმა, ქ.თბილისში, მირცხულავას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე გადაადგილებისას, მოახდინეს ვალერი გელაშვილის მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანის ბლოკირება, რის შემდეგაც თავს დაესხნენ ვალერი გელაშვილს და მის თანმხლებ პირებს. ერეკლე კოდუას დავალებითა და სოდ-ის სამმართველოს უფროსის გიორგი სირაძის ხელმძღვანელობით.

ცემის შედეგად ვალერი გელაშვილმა მიიღო სიცოცხლისათვის სახიფათო სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანება. ტურფა ნანულისთან განხორციელებული ზარის გამო, გარეწარმა კოდუამ სვანეთში უდანაშაულო ბიჭები დააკავა, ნარკოტიკი ჩაუდო, ძალით გაუკეთა და დააკავა! ნუ, „ბარიგა“ დედამისმა რამდენი ბიზნესმენი გაამწარა და ქონება, როგორც მიშა უწოდებს, სირი კოდუას დახმარებით აახია, ვინ მოთვლის. უსამართლობასთან „მებრძოლ“ მელაძეს და მის დამფინანსებლებს თუ დამცველებს, პოლიციელების მიერ ჩახოცილი და მერე კრიმინალებად მონათლული ბუტა, სანდრო, გამცემლიძე, შვილი ვაზაგაშვილი და მის საფლავზე დაკლული მამა და ასობით უდანაშაულო, საჯიშე ახალგაზრდა არც ემახსოვრებათ, რადგან მაშინ მათთვის „სამართლიანობის“ აჩრდილი დაჰქროდა. არადა, სწორედ უსამართლოდ ჩახოცილი, ციხეში ნაწამები. მოკლული პატიმრების აჩრდილები აედევნებიან მალე ნაცჯალათებს და სიცოცხლეს გაუმწარებენ! მელაძე ხშირად აკავშირებს „შავებს“ ბერასთან და იქნებ, „სანდო“ წყაროსგან გაიგოს ვარდების რევოლუციის დაფინანსებაში კანონიერ ქურდებს რამდენი მილიონი დოლარი აქვთ გადახდილი მთავარი ქინძისთვის. ან, ძმები რურუების ჩამოყვანა და „ბოროტების“ რეანიმაცია რაში დასჭირდა მის „ბატონს“? სანამ გაიგებს, „პოლიტპატიმარ“ჟორიკას კალთა ფარავდეს... გამაოცა ხაზარაძის უტიფარმა განცხადებამ და მოთხოვნამ ღარიბაშვილის და ჩუბინიძის გადადგომის შესახებ.

ორგანიზებულ დანაშაულზე ლაპარაკობს კაცი, რომელიც ციხეში მყოფ პატიმრებს „თიბისი ბანკიდან“ მილიონიან კრედიტებს უფორმებდა და მერე ბიზნესებს ართმევდა. მაგალითად, ბიზნესმენი თამაზ ელიზბარაშვილი, „კონსტანტა ბანკის“ გენერალური დირექტორი თამარ ლებანიძე და კომპანია „მაგნატის“ ყოფილი მფლობელი ჯემალ ლეონიძე, რომელსაც მამუკა ხაზარაძე სწორედ თამარ ლებანიძის, ანზორ ქოქოლაძისა და თამაზ ელიზბარაშვილის მსგავსად მოექცა. სასამართლომ და პროკურატურამ ერთხმად აღიარეს, რომ ლეონიძეს „თიბისი ბანკმა“ დიდძალი მატერიალური ზარალი მიაყენა და მისი პატიმრობა განპირობებული იყო პოლიტიკური ნიშნით. „ქოქოლაძის თქმით, მამუკა ხაზარაძე ეხმარებოდა ყოფილ პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს ბიზნესის, ამ შემთხვევაში, „ელიტ ელექტრონიქსის“ დატერორებაში.

„ნაცმოძრაობა“ დანაშაულებრივი ორგანიზაციაა, რომელსაც პოლიტიკური აქტივობის უფლება არ აქვს, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები მიზანმიმართულად აღიზიანებენ მათ მიერ ნატანჯ ხალხს და ცდილობენ ვითარების დესტაბილიზაციას, „ნაციონალური მოძრაობა“ არის კარგად ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი, რომელიც ფლობს უზარმაზარ თანხებს. ეს ის ფულია, რომელიც ქართველ ხალხს ამოაცალეს ჯიბიდან. სწორედ ამ ფულით ცდილობენ პროვოკაციების მოწყობასა და ქვეყანაში ქაოსის დათესვას. პირველ რიგში, სააკაშვილი უნდა წარსდგეს საერთაშორისო ტრიბუნალის წინაშე, რადგან 2008 წლის ომში მის ბრძანებებს შეეწირა ათასობით უდანაშაულო ჯარისკაცი და მშვიდობიანი მოსახლეობა. უკრაინულმა ვებგვერდმა წინა ხელისუფლების დროს, სამეგრელოში გადაღებული წამების ამსახველი ვიდეომასალა გამოაქვეყნა, რომელშიც მამაკაცზე სექსუალურად ძალადობენ და ასე აიძულებენ ჩვენების მიცემას. ვიდეო სრულდება მიხეილ სააკაშვილის, გივი თარგამაძის, ზურაბ ადეიშვილისა და ვანო მერაბიშვილის ფოტოებით და წარწერით, „სამართალდამცავი ორგანოების რეფორმების შედეგი“. სექტა, რომელიც ერთმანეთის ცოლებთან შვლიჭინით იყო დაკავებული და ერთმანეთზე კოპრომატები აქვთ, ყველაფერზე არიან წამსვლელები. მათ ერთად ჩადენილი სიბინძურე აერთიანებთ. სოციალურ ქსელში უამრავი მომხმარებელი იხსენებს ნაცგარეწრების მიერ ჩადენილ არაერთ დანაშაულს და ამ გახსენებაში ლომის წვლილი ისევ ნაცმედიას მიუძღვის. ნაცებისთვის „მიუღებელ“ ირაკლი ღარიბაშვილს თუ სხვა, ხალხისთვის მისაღებ პერსონას, რაც მეტ ტალახს ესვრიან, „ქართული ოცნება“ უფრო მეტ მხარდამჭერს შეიძენს და უფრო ხშირად, წვრილად გავიხსენებთ ქინძაძოების კრიმინალურ წარსულს და უფრო მეტი ხალხი მოითხოვს იმ დაწყევლილ პერიოდში ნაცზონდერების მიერ ჩადენილი უმძიმესი დანაშაულების გამოძიებას და ნაცრეჟიმის მკაცრად დასჯას!

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

მთავარი „რაზბოინიკი“

რაც დღეს ხდება საქართველოში ეს 20 ივნისს დაწყებული სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის გაგრძელებაა

ოთხი თვეა მიმდინარეობს მოლაპარაკება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, თუმცა უშედეგოდ.

სულ ბოლო შეხვედრა, რომელიც ევროსაბჭოს პრეზიდენტის ბატონი შარლ მიშელის ინიციატივით და მისი მონაწილეობით გაიმართა, გარკვეული ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს, თუმცა არავითარი გარანტია იმისა, რომ შეთანხმება შედგება და ქვეყანაში შექმნილი ფეთქებადსაშიში სიტუაცია განიმუხტება, არ არსებობს.

რა არის ამის მიზეზი და რატომ გახდა შეუძლებელი კონსენსუსის მიღწევა ორ მხარეს შორის?

ჩვენი აზრით, მიზეზი ამისა ის გახლავთ, რომ ჩვენმა დასავლეთელმა მეგობრებმა, ალბათ, იმ მოსაზრებით, რომ კიდევ უფრო არ გაემწვავებინათ ისედაც დაძაბული ვითარება, ობიექტური, მკაცრი და, იმავე დროს, სამართლიანი შეფასება არ მისცეს მიმდინარე მოვლენებს და, რაც მთავარია, არ გამოიძიეს, არ შეისწავლეს ის წინაპირობები, რაც დღეს შექმნილ სიტუაციას უძღვოდა წინ.

საქმე ის არის, რომ ეს კონფრონტაციული მდგომარეობა არ დაწყებულა ოთხი თვის წინ, 31 ოქტომბერს, არჩევნების დღეს. ის დაიწყო გაცილებით ადრე, 2019 წლის 20–21 ივნისს, როცა მოიერიშეთა რაზმები ნიკანორ მელიას და მისი „გენერლების“ (ბოკერია, უგულავა, ოქრუაშვილი) ხელმძღვანელობით სამი საათის განმავლობაში უტევდნენ პარლამენტის შენობას და შენობაში შეჭრას ცდილობდნენ.

ჩვენ ყველას გვინახავს ეს საგანგაშო კადრები, რომლებიც ძალიან ჰგავს კაპიტოლიუმში შეჭრის ცნობილ კადრებს, რომლებსაც ამერიკელებმა „შიდა ტერორიზმი“ უწოდეს და რომლის ორგანიზატორები და მონაწილენი კანონის მთელი სიმკაცრით დაისაჯნენ.

საქართველოში მსგავსი რამ არაფერი მომხდარა.

მიუხედავად იმისა, რომ მომხდარს პარლამენტში შეჭრისა და სახელმწიფო გადატრიალების კვალიფიკაცია მიეცა, მის ორგანიზატორებს და მონაწილეებს იმდენად მსუბუქი სასჯელები მიესაჯათ, თითქოს მათ მხოლოდ წვრილმანი ხულიგნობა ჩაედინოთ.

არადა, არსებობს უტყუარი მტკიცებულებები, რომ პარლამენტის შენობაზე სამგზის მიტანილი შტურმი არ დაწყებულა სპონტანურად, პატრიოტული გრძნობებით აღტყინებული და საღი აზროვნების უნარდაკარგული ადამიანების უცაბედი გადაწყვეტილებით, როგორც ამას მისი ორგანიზატორები ხსნიდნენ.

შტურმის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე პარლამენტის

შენობაში უკვე იმყოფებოდნენ მოქალაქეები, რომლებიც შენობაში საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელთაA მიერ დაშვებული საშვებით მოხვდნენ.

ისინი ელოდებოდნენ გარედან დამხმარე ძალების შემოსვლას, რომ მერე ერთიანი ძალებით მთლიანად მოეხდინათ საკანონმდებლო ორგანოს მუშაობის პარალიზება, შემდგომ კი ეს ყველაფერი დიდ სახალხო მღელვარებაში გადაეზარდათ, რაც ხელისუფლების გადადგომით და ახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნით უნდა დაგვირგვინებულიყო.

20–21 ივნისს პარლამენტში შეჭრის და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა ვერ შედგა, მაგრამ ის გაგრძელდა სხვა ფორმით და სხვა სცენარით.

31 ოქტომბრამდე კარგა ხნით ადრე ოპოზიცია დაჟინებით იმეორებდა, რომ არჩევნები აუცილებლად გაყალბდებოდა, ხოლო 31 ოქტომბერს, როცა ხმები ჯერ კიდევ არ იყო დათვლილი, ოპოზიციამ არჩევნები გაყალბებულად გამოაცხადა და პარლამენტში შესვლაზე უარი განაცხადა.

ცხადია, ეს იყო წინასწარ დაწერილი სცენარი, რომ არჩევნების გაყალბების თემა კონფრონტაციისა და მდგომარეობის ესკალაციისთვის გამოეყენებინათ და ქვეყანაში ახალი საპროტესტო ტალღა აეგორებინათ.

რაც დღეს ქვეყანაში ხდება, ფაქტობრივად, ეს არის 20–21 ივნისს დაწყებული სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის გაგრძელება, რომელიც, ოპოზიციის მოთხოვნით, რიგგარეშე არჩევნებით უნდა გაფორმდეს, რომელშიც იგულისხმება, რომ აუცილებლად ოპოზიციამ უნდა გაიმარჯვოს.

აი, ეს არის ის ქვეტექსტი, რის გარშემოც მიმდინარეობს მოლაპარაკებების ეს ოთხთვიანი მარათონი.

ოპოზიციას, უფრო ზუსტად, მის მთავარ ცენტრს და მთავარ მამოძრავებელ ძალას, „ნაცმოძრაობას“ და მის ლიდერს სააკაშვილს სურს ამ გაუთავებელი მოლაპარაკებებით და პარალელურად, ხელისუფლებაზე ზეწოლით გამარჯვებამდე მიიყვანოს სახელმწიფო გადატრიალების ჩავარდნილი გეგმა და ამაში აქტიურად დაიხმაროს დასავლეთი — ევროსაბჭო, ევროკავშირი, აშშ-ის კონგრესი.

ფაქტობრივად, „ნაცმოძრაობა“ ძალადობს ქართველ ხალხზე, საქართველოს ხელისუფლებაზე და, ამასთან ერთად, ძალადობს დასავლეთზეც, იმუქრება რა დესტაბილიზაციით, ქაოსით, არეულობით, რევოლუციით.

„ნაცმოძრაობა“ ძალადობს ბარიერგადალახულ ოპოზიციურ პარტიებზე და არ აძლევს მათ დამოუკიდებლად მოქმედებების და დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას.

„ნაცმოძრაობაო“, კი ვამბობთ, თუმც, სინამდვილეში, პროცესებს ერთადერთი კაცი, „ნაცმოძრაობის“ არაფორმალური მმართველი, ამჟამად უკრაინის მოქალაქე, რამდენიმე დანაშაულში მსჯავრდებული მიხეილ სააკაშვილი მართავს.

ის იძლევა დირექტივებს, ის იღებს გადაწყვეტილებებს, ის განსაზღვრავს ოპოზიციის დღის წესრიგს და ადგენს, ამა თუ იმ სიტუაციაში როგორ უნდა მოიქცეს ოპოზიცია. ვინ რა უნდა თქვას, ვინ რა განცხადება უნდა გააკეთოს, ვინ როგორ უნდა იმოქმედოს.

„ნაცმოძრაობა“ სააკაშვილის შპს, მისი კერძო საკუთრებაა, მისი კოოპერატივია, სადაც ყველა და ყველაფერი მის დიქტატს ექვემდებარება, სადაც ყველა მისი ყურმოჭრილი მონაა და ნებისმიერი გადახვევა „მაგისტრალური“ ხაზიდან უმკაცრესად ისჯება.

„ნაცმოძრაობა“ მონების დიდი გაერთიანებაა, დაზომბებული მასა, უფრო ზუსტად, სექტაა, სადაც სექტის ხელმძღვანელი წყვეტს ყველაფერს.

ამ სექტის წევრებად იქცნენ ის ბარიერგადალახული ოპოზიციური პარტიებიც, რომლებიც, არავინ იცის, რატომ დათანხმდნენ ნებაყოფლობით მონობას, როცა ამის არანაირი საჭიროება არ იყო.

მათ, ფაქტობრივად, უღალატეს თავიანთ ამომრჩეველს და მათ მიერ მიცემული ხმები სააკაშვილს ჩაუჩხრიალეს ჯიბეში, თუმცა, ალბათ, აქედან რაღაც დიდი სარგებელი მიიღეს, თორემ ამას მუქთად რომ არ გააკეთებენენ, ცხადია.

ასეა თუ ისეა, სააკაშვილი, გარდა „ნაცმოძრაობისა“, სხვადასხვა წვრილ-წვრილი პოლიტკოლონიების მბრძანებელიც გახდა და ქვეშევრდომებს თავის ჭკუაზე ატრიალებს.

ცოტა არ იყოს, ტრაგიკომიკური და, იმავე დროს, აბსურდული სიტუაციაა შექმნილი ქართული პოლიტიკური თეატრის სცენაზე.

ტრაგი-კომიკურობა და აბსურულობა ამ სიტუაციისა იმაში მდგომარეობს, რომ ოთხი თვეა „ქართული ოცნება“ და ფასილიტატორი ელჩები უდუმაშვილს, სამადაშვილს, ბოკუჩავას, ბოკერიას, ხვიჩიას, მეგრელიშვილს, ნათელაშვილს, ბურჯანაძეს, სხვებსა და სხვებს ელაპარაკებიან, გადაწყვეტილებებს კი სააკაშვილი იღებს და ამათ აღმა ხნულს დაბლა ფარცხავს.

მოლაპარაკებათა ერთი რაუნდი, მეორე, მესამე, მეოთხე, მერე ამ მოლაპარაკებების საჯარო განხილვები და გარჩევები ტელევიზიებით, პრესით, ახალ-ახალი წინადადებები და ინიციატივები, ახალ-ახალი იდეები, თითქოს რაღაც ლაგდება და კოწიწდება, თითქოს ვიღაც-ვიღაცები საცაა შევლენ პარლამენტში, მაგრამ უცებ ჩნდება სააკაშვილი და ყველაფერს ხუხულასავით შლის და ანგრევს.

მერე ისევ თავიდან იწყება ყველაფერი, ამირანივით გადაუწყვეტელ პრობლემას მიჯაჭვული ხელისუფლება და ჩვენი დასავლეთელი მეგობრები საცაა გაწყვეტენ ჯაჭვს, მაგრამ ისევ მოდის ბოროტი მჭედელი სააკაშვილი და გასაწყვეტად გამზადებულ ჯაჭვს უროს ერთი დარტყმით ისევ ამთელებს.

და ასე, დაუსრულებლად, ოთხი თვე, ანუ 120 დღე და ღამე გრძელდება და გრძელდება ერთი და იგივე.

მაინც რაზეა ლაპარაკი ამ უსასრულო მოლაპარაკებებში?

რაზეა და ზუსტად იმაზე, რაზეც იყო საუბარი პარლამენტზე იმ წარუმატებელი შტურმის და ასევე წარუმატებელი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობს შემდეგ.

როგორც ვთქვით, რაც დღეს ხდება, ფაქტობრივად, ეს არის იმ შეუმდგარი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის გაგრძელება, ოღონდ სხვა ფორმით, სხვა ხერხებით, სხვა ტექნოლოგიებით.

რასაც სააკაშვილმა ძალისმიერი მეთოდებით ვერ მიაღწია, ახლაც იგივეს მიღწევას ცდილობს, ოღონდ ამჯერად „ქართული ოცნების“ და დასავლეთის დახმარებით, მათი ხელით, მათი მონაწილეობით.

ეს იგივე სახელმწიფო გადატრიალებიის მცდელობაა, ოღონდ

დეტალებად დანაწევრებული და სხვადასხვა პუნქტებსა და მოთხოვნებში ჩაშლილი და ჩაფანტული.

რა გამოდის?

ნუთუ ის, რომ ამდენი მოლაპარაკებებით, ამდენი დროის, ენერგიის, ფინანსების ხარჯვით, ამდენი მედიასაშუალების აქტიური მონაწილეობით, ამდენი დისკუსიებით და დებატებით სააკაშვილს ვემსახურებით, რომ მან თავისი ბნელი, რევანშისტული ზრახვა ხელისუფლებაში დაბრუნებისა, როგორმე სისრულეში მოიყვანოს?!

თქვენ როგორ ფიქრობთ, რიგგარეშე არჩევნები, რომლის დანიშვნის არანაირი ობიექტური მიზეზები არ არსებობს, მაინც რომ დაინიშნოს, განა ეს არ იქნება 20–21 ივნისს დაწყებული სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის დამაგვრიგვინებელი ეტაპი?

აი, ამაში ვეხმარებით სააკაშვილს?

დიახ, დიახ, ზუსტად ამაში ვეხმარებით სააკაშვილს და ამ საქმეში იძულების წესით ჩართულია საქართველოს ხელისუფლება და თითქმის მთელი საერთაშორისო დემოკრატიული თანამეგობრობა — აშშ-ის კონგრესი, ევროპარლამენტი, ევროსაბჭო, ნატო, ავტორიტეტული საერთაშორისო ინსტიტუტები და ა. შ. და ა. შ.

თუნდაც მკრეხელობად ჩამეთვალოს, მაინც უნდა დავსვა ასეთი კითხვა: თქვენ, ძვირფასო მეგობრებო დასავლეთიდან, აცნობიერებთ კი, რას აკეთებთ და რა სახიფათო გაუგებრობაში ხართ ჩათრეულნი?

თქვენ, ძვირფასო მეგობრებო დასავლეთიდან, ნუთუ ვერ ხვდებით, რომ სახელმწიფო გადატრიალების მოწყობაში ეხმარებით სააკაშვილს და მის ბანდას, როცა დასაშვებად მიიჩნევთ რიგგარეშე არჩევნებს, რომელიც, შეიძლება, დიდი სამოქალაქო დაპირისპირებით დამთავრდეს, რადგან ქართველი ხალხი არასოდეს შეეგუება სააკაშვილის, „ნაცმოძრაობის“ და მისი სატელიტების ხელისუფლებაში დაბრუნებას.

ასე რომ, რიგგარეშე არჩევნები კრიზისიდან გამოსავალი კი არ არის, არამედ თავად არის ახალი, გაცილებით მწვავე და ფეთქებადსაშიში კრიზისის წყარო, რომელიც, არ არის გამორიცხული, კატასტროფით დამთავრდეს ქართული სახელმწიფოსთვის.

ბევრჯერ თქმულა, მაგრამ ეს ბევრჯერ ნათქვამი, ეტყობა, მანამდე უნდა გავიმეოროთ და გავიმეოროთ, სანამ ჩვენი ამერიკელი და ევროპელი მეგობრები არ გაიგებენ: საქართველოში დღეს შექმნილი ვითარება დედამიწის ზურგზე ერთადერთ სახელმწიფოს, რუსეთს, აძლევს ხელს და ვინც ამ პროცესების განვითარებას და გაღრმავებას ხელს უწყობს, ის, ნებსით თუ უნებლიეთ, რუსეთის ინტერესებს ემსახურება.

ცხადია, რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს სააკაშვილის პროვოკაციული და ავანტურისტული ქმედებები.

ის, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, აშანტაჟებს ქართულ სახელმწიფოს და ქართულ სახელმწიფოსთან ერთად აშანტაჟებს დასავლეთსა და, ფაქტობრივად, ღიად იმუქრება, რომ თუ მისი პოლიტიკური ხუშტურები არ დაკმაყოფილდება, ქვეყანას ააფეთქებს.

სააკაშვილი არაფრით განსხვავდება ტერორისტისგან, რომელიც აცხადებს, რომ თუ მისი მოთხოვნები არ შესრულდება, ბომბს ააფეთქებს, რასაც დიდი მსხვერპლი და ნგრევა მოჰყვება.

ამ დროს გვეუბნებიან, დიალოგს ალტერნატივა არ აქვსო.

დიალოგს მართლაც არ აქვს ალტერნატივა, მაგრამ ტერორისტთან დიალოგს ხანგრძლივი, მაგრამ უშედეგო მოლაპარაკებების შემდეგ ალტერნატივა აქვს — ეს არის კანონი და სამართალი, თუმცა, როგორც ჩანს, სააკაშვილი რაღაც განსაკუთრებული სტატუსის მქონე ტერორისტია, რომელიც სასათბურე პირობებში ჰყავს ჩათბუნებულ-ჩახუტებული ჩვენს ერთ-ერთ მეგობარ სახელმწიფოს, საიდანაც აპირებს მისი მოქალაქე ტერორისტი მისი მეგობარი სახელმწიფოს დისტანციურად აფეთქებას, მაგრამ პასუხს არავინ თხოვს.

ამ ტერორისტს არც სხვები თხოვენ პასუხს.

პასუხის მოთხოვნას ვინ ჩივის, მთელი ამ ოთხთვიანი მოლაპარაკებების განმავლობაში, ჩვენს დასავლეთელ მეგობრებს, რომლებიც გვარწმუნებენ, რომ გულწრფელად სურთ ჩვენი დახმარება, ერთხელაც არ უხსენებიათ მისი სახელი თუნდაც გაკვრით, თუნდაც მინიშნებით, თითქოს ის არც არსებობს.

არადა, არ არსებობს კი არა, ყველა იმ პრობლემისა და საფრთხის სათავე, რაც დღეს ჩვენს ქვეყანას ჭირს, მასშია თავმოყრილი.

სანამ ეს მთავარი „რაზბოინიკი“ არ მოშორდება ქართულ პოლიტიკას, არ იქნება მშვიდობა საქართველოში.

ვახტანგ ხარჩილავა

ნიკანორ მელიას გარდა კიდევ რამდენი „გმირი“ ჰყავს საქართველოს?

ნიკანორ მელიას „გმირობაზე“ გადართულ საქართველოს დაავიწყდა, რომ ნიკანორის გარდა კიდევ რამდენიმე საამაყო „გმირი“ ჰყავს, რომლებიც „გმირთა“ გალერეაში იმავე ლოზუნგის წყალობით შევიდნენ, რითაც ნიკანორმა შეაბიჯა უკვდავებაში — „არ გადავიხდი და ვერ დამიჭერენ!“

თუ გავითვალისწინებთ იმ ამბავს, რომ ნიკანორი დაიჭირეს, ხოლო დანარჩენები, რომლებმაც ნიკანორამდე გაცილებით ადრე ჩაიდინეს იგივე გმირობები, მაგრამ არ დაუჭერიათ, ნიკანორზე უფრო მაგარი გმირები გამოდიან, მაგრამ უსამართლოა ეს წუთისოფელი, მათ სახელს იშვიათად თუ ახსენებენ, ნიკანორის სახელი კი ქუხს მთელ მსოფლიოში. სწორედ ამაზეა ნათქვამი: „ზოგის ბამბაც ჩხრიალებს, ზოგის — კაკალიც არა!“

არადა, მათი სახელით დედა-სამშობლო უნდა ამაყობდეს და თაობიდან თაობებს უნდა გადასცემდეს მათი ვაჟკაცობის, გაუტეხლობის და სიმტკიცის ამბებს.

ასე, მაგალითად, თაობებს უნდა გადაეცეს თემურ ჭყონიას სახელი, რომელმაც ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 90-იან წლებში ე. წ. თურქული კრედიტიდან ვალად აიღო 5 მილიონი დოლარი და ეს ვალი 21-ე საუკუნეშიც არ დაუბრუნებია.

თავიდან შევარდნაძე შეახსენებდა ხოლმე ყასიდად — მაი ვალი რო ეიღე, ძამა, რეიზა არ აბრუნებო, ეს კიდევ, ცოტა მაცალეთ და გადავიხდი, ტოო, — პასუხობდა, მაგრამ ამ „ცოტაც მაცალეთ“-ში მეოცე საუკუნე ქე მიილია, შევარდნაძეც დაბერდა, დაიღალა და სახლში წავიდა და თემურამაც ატკაზი დაარტყა: რა ხუთი მილიონი, რისი ხუთი მილიონი? რა ვალი, რისი ვალი? არ ვიხდი მაგ ხუთ მილიონს და არავინ შემაწუხოთო.

არც შეუწუხებიათ, თუმცა ჩანაწერი მაინც დატოვეს მომავალი თაობების საყურადღებოდ: შვილებო, ამ კაცს მე-20 საუკუნეში აღებული სახელმწიფოს ხუთი მილიონი დოლარი მართებს და 21-ე საუკუნეში თუ ვერ გადაახდევინებთ, 22-ში მაინც გადაახდევინეთო.

ვალის არგადამხდელთა და ვერდაჭერილთა სიაში ოქროს ასოებით ჩაიწერება „გმირი“ ზაზა ოქუაშვილის სახელი.

ნიკანორის 40 000 ლარი, საერთოდ, რა მოსატანია ზაზას 51 მილიონთან, რომელიც პრონციპულმა და მორალურად და ზნეობრივად გაუტეხელმა ზაზამ კატეგორიულად არ გადაიხადა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, მიუხედავად იმისა, რომ ვალის გადახდა 11-ჯერ (!) გადაუვადეს.

— არ გადავიხდი და ვერ დამიჭერთ! — ლონდონიდან გვიქნევდა მუშტებს გულადი და მამაცი ზაზა და თან ინგლისის მოქალაქის პასპორტს გვაჩვენებდა შორიდან. ვერც დაიჭირეს და ვერც გადაახდევინეს, თუმცა საქართველოში მძევლად დატოვებული ზაზას ცოლი და ცოლის ძმა ნაცებმა გადაიპორტირეს და თავიანთ საპარლამენტო სიაში შეიყვანეს. სამაგიეროდ, ზაზამ თამბაქოს შესანახი საწყობები „მთავარს“ დაუთმო ტელესტუდიის მოსაწყობად, საიდანაც ნიკუტა და მისი ამფსონები საქართველოს წარმატებით აბოლებენ.

ნიკუტას გახსენებაზე, ბარემ, აქვე ვთქვათ, რომ არც ნიკუტაა ვინმეზე ნაკლები არგადამხდელი და ვინმეზე ნაკლები გმირი.

თავის დროზე, როცა ბატონი ნიკუტა „რუსთავი-2“-ის გენერალური დირექტორი ბრძანდებოდა, მანაც მტკიცე უარი განაცხადა სახელმწიფოსთვის გადასახადების გადახდაზე, ვალმა კი სადღაც 26 მილიონამდე აარტყა.

— არ გადავიხდი და ვერც დამიჭერთო, — ამ ისტორიული ფრაზის საავტორო უფლებას და არგადახდის გამო წამებული და ტანჯული გმირის დაფნის გვირგვინსაც სულ ტყუილად იჩემებს ნიკანორი — მას ღირსეული კონკურენტები ჰყავს, რომელთა დიდი ღვაწლის მიფუჩეჩება უსამართლობა იქნებოდა.

დავით ქავთარია

მონათა გაერთიანება, სახელად ოპოზიცია და დიდი კაცის სტუმრობა საქართველოში

დიდი კაცის, შარლ მიშელის, ჩამოსვლა ხელისუფლებამ ჩვეულებრივად გადააგორა, არც ირაკლი ღარიბაშვილი დამდგარა მუხლებზე და არც სხვა ვინმე, მიიღეს პატივისცემით და გააცილეს პატივისცემით. აი, ე.წ. ოპოზიცია კი ნამდვილად საცოდავი სანახავი იყო. ერთი-ორი თვის წინ, როცა ჩვენი უცხოელი პარტნიორები მოუწოდებდნენ, არჩევნები არ გაყალბებულა, შედით პარლამენტში, საქმე აკეთეთო, მაშინ ამტკიცებდნენ, რომ არც ერთ უცხოელ პოლიტიკოსს არ აქვს უფლება, ჩვენს საშინაო საქმეებში ჩაერიოსო. მეტიც, ყველა გამოლანძღეს, ყველას კორუმპირებული უძახეს, ყველას ბიძინა ივანიშვილის მიერ მოსყიდული უწოდეს. ახლა კი... ახლა, თურმე მათი და მით უფრო ევროსაბჭოს პრეზიდენტის სიტყვა ყოფილა უზენაესი და წმიდათა წმიდა.

როგორც უკვე გითხარით... შეიკრიბნენ ორბელიანების სასახლეში, სადაც ახლა პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ბინადრობს... შეიკრიბნენ ღრეჭვა-ღრეჭვით პირმომცინარნი, ფარისეველნი, დებილნი, კრეტინნი და თავად მონანი, სხვას რომ ეძახიან დამამცირებელი განზრახვით მონებს. აქეთ ცალკე ისხდნენ შარლ მიშელი და ირაკლი ღარიბაშვილი, აქეთ – ესენი, სრულიად უაზრონი.

დაახლოებით ერთ საათში გამოცვივდნენ და დაიწყეს ტელეკამერების წინ ბოდიალი – კონსტრუქციული შეხვედრა იყოო... შევთანხმდით, რომ... უახლოეს ხანში უნდა შევთანხმდეთო. დიახ, ძალიან ნაყოფიერი შეხვედრა გაგვიმართა ევროპიდან ჩამოსულმა დიდმა კაცმა, აბა რა ეგონა ბიძინა ივანიშვილსაო? – რაზე შეთანხმდითო? – ეკითხებიან ჟურნალისტები. იმაზე შევთანხმდით, რომ უახლოეს ხანში აუცილებლად რაღაცაზე შევთანხმდებით და თუ არ შევთანხმდებით, ეს იქნება "ქართული ოცნების" დასასრულიო... აი, რაც მთავარიაო, ძალიან სასიხარულო ამბავი გახლავთ, რომა... ევროპამ არ მიგვატოვა, ევროპა გამადიდებელი შუშით გვაკვირდება და იმედი აქვთ, რომ აუცილებლად შევთანხმდებითო.

ვუყურებდი ტელევიზორში ამათ ხუნტრუცს და თვალწინ დამიდგა, როგორ სტუმრობდნენ ამათი გამყიდველი წინაპრები ისპაჰანს, ან მასპინძლობდნენ ისპაჰანიდან ჩამოსულ ე.წ. სტუმრებს. დარწმუნებული ვარ და ისტორიული წყაროებიც გვამცნობენ, რომ ამათი წინაპრები ღალატის გზას იყვნენ დამდგარნი თავიანთი კეთილდღეობისა გამო. მიდიოდნენ, მიჰქონდათ საჩუქრები, რათა მიეღოთ ჩინ-მედლები, წოდებები და ათასნაირი ჟღარუნ-ჟღურუნები. ჩამოდიოდნენ, ხვდებოდნენ მუხლებმოდრეკილნი, რათა მიეღოთ წყალობა, ოქროს უზალთუნები და ისევ ჟღარუნ-ჟღურუნები. ისინიც სწყალობდნენ – ხან სპარსნი, ხან ოსმალნი, ხან არაბნი, ხან სელჩუკნი, ხან მონღოლნი და რაც

მთავარია, რუსნი.

ოოო... რუსთა წყალობა ვნახეთ, საკუთარი თვალითა ვნახეთ და კიდევაც ვხედავთ, ეს პროცესი ჯერაც არ დამთავრებულა. აი, ისინი, ევროპელ სტუმრებს რომ ეგებიან ფეხქვეშ და პირში უცინიან, რუსების დავალებებს ასრულებენ, რუსების მონები არიან. ახლა არ მკითხოთ, ეს როგორ, თუ ევროპიელებს ფეხებში უგორდებიან და მუხლებს უკოცნიან, რუსეთის მონები რანაირადღა არიანო? ეს ყველაფერი მხოლოდ მოჩვენებითია, ფარისევლობაა, რეალობა კი სხვანაირია. თუნდაც ერთი მაგალითი ავიღოთ: 2008 წლის აგვისტოში ჩვენი ბიჭები მტერს უზაროდ შეაწყვიტეს? დიახ, შეაწყვიტეს! 200-მდე სოფელი რუსებს გადაულოცეს? გადაულოცეს! კოდორის ხეობა, რომელსაც სამი თვით ადრე ზემო აფხაზეთი უწოდეს, გასროლის გარეშე დათმეს? დათმეს! 2008 წლის 9 აგვისტოს "ნაცებმა" უამრავი ქონება თითო ლარად გადაიფორმეს? გადაიფორმეს! 70-ზე მეტი სტრატეგიული ობიექტი რუსებს გადაუფორმეს? გადაუფორმეს! ომის შემდეგ უნიჭო ფილმში 40 მილიონი დოლარი დახარჯეს? დახარჯეს! რომელი ერთი ჩამოვთვალო, სულ რუსულ საქმეებს აკეთებენ, სულ ღალატის გზას ადგანან და ამიხსენით, პროდასავლელები საიდან გამოდიან? ყველაფერს თავი დავანებოთ, შეხედეთ მათ ფიზიონომიას, ქცევას, სიტყვა-პასუხს, მანერებს, განათლებას, რა ეტყობათ ევროპიელობისა, ან ამერიკანელობისა, ან კიდევ რამე ცივილურობისა? ველურები არიან, ველურად გაზრდილები, ტყიდან გამოცვივნილები. ხშირად მგონია, ესენი ტყიდანაც გამოყარეს, იქაც ძალიან ცუდად იქცეოდნენ!

მეც ვარ, რააა!

ტყიდან გამოყარეს-მეთქი... ტყიდან კი არა, ესენი გამოქვაბულის ბინადრები არიან დღემდე. მერე რა, რომ "მანქნებით" დადიან და ფეშენებელურ სახლებშიც ცხოვრობენ, მაინც გამოქვაბულის აზროვნება აქვთ. შეიძლება კომფორტში ცხოვრობდე, კარგს სვამდე, კარგს ჭამდე, მოდურად იცვამდე, მაგრამ მაინც ქაჯივით გამოიყურებოდე. არა, გამოიყურებოდე კი არა, შეიძლება ქაჯი იყო.

დიახ, ჩვენ ზუსტად ასეთ ქაჯებთან გვაქვს საქმე. მათი წინაპრებიც ქაჯები იყვნენ და ამიტომაც დადიოდნენ ისპაჰანსა თუ პეტერბურგში საჩივლელად, მოდით, დაგვსაჯეთ, ტერიტორიები წაგვართვით, სანქციები დაგვიწესეთო. სანქციებიო, ხალხო, მობრძანდით, დაგვიწესეთ, ამ ქვეყანას დედა მოუტყანითო, ჩვენ ეგრე გვაწყობსო. ესენი ყველას ერჩიან, ვინც კი ამ ქვეყნისთვის ოდნავ მაინც გაირჯება. ამათ ესროლეს ილია ჭავჭავაძეს. კაცმა – ილია ვარ, არ მესროლოთო. რას ამბობ, ილია რომ ხარ, სწორედ ამიტომ უნდა გესროლოთო!

რაღა შორს წავიდეთ? აგერ, გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ნახევარი გაყიდეს, გაასხვისეს და ახლა ამტკიცებენ, ჩვენი არ არისო. რომ ეკითხები, რატომ არ არისო, გპასუხობენ: საიდან არი შენი, როცა შენი არ არიო? ულოგიკობა მინახავს, ძალიან დიდი სიგიჟეებიც მინახავს, მაგრამ ეგეთი? არ ვიცი, არ მახსენდება.

ამათ ესროლეს ზვიად გამსახურდიას. დიახ, ამათ, ამჯერად იქ ვიყავი, საკუთარი თვალით ვნახე. ის კი არა, სროლამდე ერთი დღით ადრე პარლამენტის შენობას ცოცხალ ჯაჭვად შემოვერტყით და ვიხვეწებოდით, არ ისროლოთო. მეამაყება, იმ ჯაჭვში ერთი რგოლი ვიყავი. მაინც ისროლეს. ქაშუეთიდან ისროლეს, ეკლესიიდან, სალოცავი ადგილიდან. დაამხეს და აამტუტეს ირგვლივ ყოველივე. შემდეგ გაქანდნენ მოსკოვში და ჩამოიყვანეს თავიანთი ბაბუ, სინამდვილეში კი თეთრი მელა.

ერთადერთი გამონათება ამ ქვეყანას ჰქონდა დავით აღმაშენებლის პერიოდში. ეგეც ვიცით, რატომ. მოღალატეები სარზე რომ გასვა, იმიტომ. ახლა სხვა დროა, დემოკრატიაა, ლუპებით გვაკვირდებიან, ახლა სარზე ვერ გასვამ... თუმცა, არსებობს მეთოდები კანონისა და სამართლიანობის აღსადგენად. ეს აუცილებელიც კია. აგერ, მოვიდა ირაკლი ღარიბაშვილი და თქვა, კანონი უნდა აღსრულდესო. მანამდე ვინმე ნიკანორ მელია სახელმწიფოს ეჯღანავებოდა, არც გადავიხდი, ვერც დამიჭერთო. დაიჭირეს, ერთი უბადრუკი მოპოლიტიკოსო ელემენტი დაიჭირეს, კომფორტულ ზონაში შეაგდეს. მეორე დღესვე დაიწყეს მისი წერილების კითხვა პირდაპირ ეთერებში ჩაჯვი გვარამიამ და ნოდარა მელაძემ პერფორმანსულ სტილში, ტალახისგან გმირის გამოძერწვა სცადეს, მაგრამ ჩემი ფეხები, ძონძის მეტი ვერაფერი გამოძერწეს. საერთოდ ეგრეა, ჭუჭყიდან მხოლოდ ძონძი იძერწება, მეტი არაფერი.

რამდენი რამე აქვს გასასწორებელი ირაკლი ღარიბაშვილს ამ ქვეყანაში? კარგად რომ დავფიქრდეთ, შეიძლება იმდენი, ერთი ადამიანის ძალას, თუნდაც ერთი ხელისუფლების ძალას რომ აღემატება. ნახავ საქმეს, ჩაეძიები, გამოიკვლევ, აშკარად ღალატია ჩადენილი, ძალიანაც რომ გინდოდეს, ველარ გამოასწორებ – ან ისეთი ხელშეკრულებაა გაფორმებული, გამოსწორებას აღარ ექვემდებარება, ან კიდევ უკვე გაჩუქებულია და უკან ველარ დაიბრუნებ. წესით, ვინც კოდორის ხეობა გააჩუქა, დასაჭერია, თანაც სამუდამოდ, მაგრამ რა? კოდორის გამჩუქებლები აქეთ გვიტევენ, ხელისუფლებაში უნდა დავბრუნდეთო. იქამდე გვერდები არ აუდგეთ, სანამ არ დაბრუნდებიან, პაპაჩემის დაბრუნება უფრო რეალურია დიდი სამამულო ომიდან, ვიდრე ამათი, მაგრამ ამ კეთილებმოტ... ნულებს ნერვები, დრო და ენერგია ხომ მიაქვთ? ჰოდა, ეს ნერვები, დრო და ენერგია მენანება.

ახლა მეუბნებიან, ირაკლი ღარიბაშვილი 16 მარტს ბრიუსელში უნდა ჩავიდეს და ოპოზიციასთან მოლაპარაკების შედეგები უნდა ჩაიტანოსო. თუ ვერ ჩაიტანს, მორჩა, ეს ხელისუფლება გადაყენებულიაო. ნორმალურ ადამიანს ამაზე უნდა ეცინებოდეს, მაგრამ საზოგადოების ნაწილი ჩვენში არ არის ნორმალური. ოდესღაც წიგნიერი საზოგადოება ასე თუ დეგრადირდებოდა და ზროვნების უნარს დაჰკარგავდა, ნამდვილად არ მეგონა.

სწორი თქვა ირაკლი ღარიბაშვილმა, ცხელ თავებთან მოლაპარაკება კი არა, დალაპარაკებაც არ შეიძლებაო. ვისაც საქართველოში რევოლუცია უნდა, მასთან დალაპარაკება გამორიცხულია, ევროპიიდან კი არა, მარსიდან რომ ჩამოვიდნენ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები, არანაირი შედეგი არ დაიდება – ქართველების 99 პროცენტს კიდევ ფეხებზე გვკიდია, ესენი პარლამენტში შევლენ თუ არა. ისე, წესით, ბრიუსელში ჩასულმა ღარიბაშვილმა იმათ, იმ ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებს უნდა მოახსენოს, რომ საქართველოში ე.წ. ოპოზიცია არის იქ, სადაც უნდა იყოს – ქუჩაში, ანუ ტლაპოში.

ეგრეა, ერო და ბერო, მე იმაზე კი არ ვნერვიულობ, საზღვარგარეთიდან დიდი კაცები რომ ჩამოდიან და ჭკუაზე გვარიგებენ, ამაზე უკვე მოგახსენეთ – ეს დიდწილად მოღალატეთა სურვილით ხდება. შეიძლება ძალიან ბევრს არც კი უნდა, რომ ჭკუაზე დაგვარიგოს, მაგრამ იქით ვეხვეწებით და ისინიც გვარიგებენ.

შარლ მიშელმა წასვლისას თქვა, საქართველოში თვალები ამეხილაო.ე.წ. ოპოზიციონრებმა ეს თავიანთებურად მოთარგმნეს, ნახეთ, კაცმა დაინახა, რომ ამ ქვეყანაში დემოკრატია საფრთხეშიაო. ხელისუფლებამ თქვა, კაცმა დაინახა, ვისთან აქვს საქმე, ჯერ ტრაპზე ფეხი არ ჰქონდა შედგმული, პარლამენტში მოცვივდნენ და პიკეტირება მოინდომესო. სიმართლე თქვა ხელისუფლებამ, ამათთან ლაპარაკი არ შეიძლება, ამათ უნდა ირბინონ და მუდამ იკოტრიალონ ტლაპოში. როცა ხელისუფლებაში იყვნენ, მაშინაც ტლაპოში კოტრიალობდნენ, ამიტომაც ჩაიდინეს ამდენი დანაშაული.

ერთხელ ჩამოვიდა ი დიდი კაცი საქართველოში და უცებ აეხილა თვალები. ესენი აქ ცხოვრობენ, აქ "მოღვაწეობენ" და თვალები კი არ აეხილათ, ყურთაც დააკლდათ სმენადობა. ესეც ჩვენი ბედია, როგორმე უნდა გადავაგოროთ და გავიდეთ სამშვიდობოს.

ისე, დიდი კაცის სტუმრობა, ნუ გგონიათ ხუმრობა!

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

იგეგმება ნოდარ მელაძის და მაკა ჩიხლაძის მკვლელობა!

სკანდალური ინფორმაცია – არსებობს ბოლო დღეებში გაკეთებული ფარული ვიდეოჩანაწერი, სადაც სააკაშვილი ამბობს, რომ ამზადებს ჟურნალისტების მსხვერპლთშეწირვას – იგეგმება ნოდარ მელაძის და მაკა ჩიხლაძის მკვლელობა. ახლა აზუსტებენ მკვლელობის შემსრულებელთა კანდიდატურებს

ლევან მამალაძე: ინფორმაცია, რომელიც მე გამაჩნია, არის ძალიან სახიფათო ჩვენი ქვეყნისთვის ამიტომ გადავწყვიტე, ის საჯაროდ გამომეტანა

ლევან მამალაძე: დაინტერესებულმა პირებმა იციან, რომ უკვე 18 წელიწადია პოლიტიკურ დევნილობაში ვიმყოფები.

2004 წელს უკრაინაში ჩამოვაყალიბე სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრი, რომელიც კონსულტაციას უწევს მაღალი თანამდებობის პირებს, სახელმწიფოთა ხელმძღვანელებს სხვადასხვა ქვეყნებში.

ჩვენ გვაქვს სერიოზული ინფორმაციული წვდომა და კონტაქტები და ის, რაც მე ვნახე და მოვისმინე, გაოგნებული ვარ და გადავწყვიტე საზოგადოებას გავაგებინო, რაც ხდება.

საუბარია იმ პროვოკაციაზე, რასაც სააკაშვილი გეგმავს — ის კონკრეტულად, ადეიშვილთან საუბრისას ლაპარაკობს, რომ სიტუაციიდან გამომდინარე, რაც ქვეყანაში არის შექმნილი, აქვს დაგეგმილი, განახორციელოს კონკრეტული ჟურნალისტების ერთგვარი მსხვერპლთშეწირვა — იგეგმება ნოდარ მელაძის და მაკა ჩიხლაძის მკვლელობა.

ჩანაწერში საუბარია, რომ უნდა განხორციელდეს გიორგი სანაიას მკვლელობის მსგავსი სცენარი, რათა გამოიწვიონ რევოლუციური პროცესები, რომ ჩამოშალონ ქვეყანა. უკანასკნელი სიტყვებით იხსენიებენ ოპოზიციას, ოპოზიციის სხვადასხვა წარმომადგენელს, რომლებიც, მათი თქმით, ვერაფერს ვერ ახერხებენ და რევოლუციას ვერ აწყობენ იმ ჩანაწერების საფუძველზე და ვერ ახერხებენ გადააყენონ ახლადდანიშნული პრემიერი ღარიბაშვილი. საყვედურს გამოხატავენ: არაფრის თავი არ აქვთ მაგათო.

სააკაშვილი კონკრეტულ ინსტრუქციებს და დავალებებს იძლევა. ამ ჩანაწერების საფუძველზე, ის არის კონკრეტულად მკვლელობის შემსრულებლის ძიებაში.

დღემდე სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობენ მისი ზონდერები, მეტიც, ისინი დაწინაურებულებიც არიან, როგორც ვიცი, ხოლო სააკაშვილი, ამ ეტაპზე, ფინანსების მობილიზებას აპირებს, რომ რეცოლუციური სცენარი განახორციელოს.

მისი მთავარი ამოცანაა, იმდენად დაძაბოს სიტუაცია, რომ ამ მკვლელობების ფონზე უკვე შეუქცევადი გახადოს საქართველოში სიტუაციის არევა და იმ სისტემის დანგრევა, რომელიც დღეს საქართველოში არსებობს.

ყველამ ვიცით, ვინც არის ეს ადამიანი და ძალიან ძნელია ყველაფრის მოსმენა, რასაც ეს არანორმალური კაცი ამბობს: ახლა არის სწორედ ის ვითარება, როცა შეიძლება რევოლუცია მოვაწყოთ და მას უნდა შევწიროთ კონკრეტული ადამიანები. უნდა დაიხოცონ ჟურნალიტები, რომ აირიოს ქვეყანაში სიტუაცია.

ამ ყველაფერს იმ ფორმატით ამბობს, რომ ძალიან ძნელი მოსასმენია ეს.

მე მინდა გითხრათ, რომ ეს კაცი ჯერ ნამკურნალევი ნამდვილად არ არის და თავისი მიზნების მისაღწევად ყველაფერზეა წამსვლელი. ‘

როცა ვსაუბრობთ ამ ვითარებაზე, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქვეყანაში ნამდვილად არის პოლიტიკური კრიზისი. ხელისუფლებას აქვს დაშვებული სერიოზული შეცდომები — ოპოზიციასთან შეუთანხმებლობა, ბევრ საკითხში ვერ იქნა მიღწეული კონსენსუსი, მელიას დაკავება, ამის ფონზე პრემიერ-მინისტრის გადადგომა, პოლიტიკური საფუძვლების გამო საერთაშორისო დაძაბულობის გამოწვევა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, **სააკაშვილი ჩანაწერში ამბობს, რომ სწორედ ახლა არის ის ვითარება, ამ მკვლელობით ჩვენ დავშალოთ ივანიშვილის ხელისუფლებაო.**

მოგვწონს თუ არა მთავრობა, ამაზე საუბარი არ მაქვს. მე ვლაპარაკობ იმაზე, რომ არის საშიშროება, სახელწიფო სისტემა დაიშალოს, ანუ მოხდეს ისეთი არეულობა, რომელიც იქნება შეუქცევადი.

ვის უნდა ამის გაკეთება, რატომ, რამდენად არიან რეალური საფრთხის ქვეშ ეს ჟურნალისტები?

დიახ, ეს არის რეალური პრობლემა და ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ დაიცვას ეს ჟურნალისტები, ასევე უნდა დაიცვას ოპოზიცია, რომლის მიმართაც, არ არის გამორიცხული, მსგავსი ღონისძიებები ჰქონდეს სააკაშვილს დაგეგმილი.

სააკაშვილია ამოცანაა, რომ ეს ვითარება და დაძაბულობა, რომელიც არის შექმნილი, კერძოდ, არ შემოუტანიათ ვაქცინა, ეკონომიკური და სოციალური პრობლემები, პოლიტიკური არასტაბილურობა, ამას დაუმატოს ჟურნალისტების ლიკვიდაცია და ეს იქნება ის ამღვრეული წყალი, სადაც მას შეეძლება თავისი მიზნები განახორციელოს და ჩამოშალოს არსებული სახელმწიფოებრივი სისტემა. აი, ეს არის ყველაზე დიდი საფრთხე.

მე პირდაპირ ვაცხადებ: მზად ვარ, ვითანამშრომლო შესაბამის სტრუქტურებთან სახელმწიფო ინტერესების ჩარჩოებში. მზად ვარ, სრული ინფორმაცია მივაწოდო მათ, თუმცა, იმ წყაროსგან, რომელმაც მომაწოდა ეს ინფორმაცია და მისი სანდოობაც გადამოწმებული მაქვს, ჯერ თანხმობა არ მიმიღია, რომ ჩანაწერები დავდო ლიად. მე მათთან მოლაპარაკებების რეჟიმში ვარ და დარწმუნებული ვარ, თანხმობას მივაღწევ.

რაც შეხება დამოკიდებულებებს. მე ყველას მინდა გთხოვოთ, ნუ დაიწყებთ ანგარიშსწორებებს იმის თუ ამის მხარდამჭერებისთან. ჩვენ უნდა ვიყოთ ჩვენი სახელმწიფოს, ჩვენი ქვეყნის მხარდამჭერები. ჩვენ უნდა ვიაზროვნოთ ჩვენი ქვეყნის ინტერესებით და ვიმოქმედოთ ჩვენი ქვეყნის ინტერესების შესაბამისად.

სააკაშვილი შარვლიდან ამოხტება თუ ათას რაიმე სისულელეს ჩაიდენს ან იტყვის, მე მზად ვარ, ნებისმიერ „მოედანზე“ პირდაპირ ეთერში დავჯდე და დაგანახოთ მისი სისხლიანი სახე.

მე მივიღებ ამ ჩანაწერების გასაჯაროებაზე თანხმობას, გამოვამზეურებ ამ ინფორმაციას და ყველა ყველაფერს დაინახავს.

რამდენიც უნდა იხტუნოს სააკაშვილმა, მე მზად ვარ, ნებისმიერ ეთერში, ოღონდ პირდაპირ ეთერში, მისი თანდასწრებით დავუმტკიცო მას ყველაფერი.

ეს არის სერიოზული საფრთხე და სახელმწიფომ დროულად უნდა მიიღოს ზომები და არ დავუშვათ, ისედაც გაუბედურებულ ქვეყანაში დესტაბილიზატორების ბოგინი იმისთვის, რომ თანამდებობები მიიღონ ან რაღაცა ამბიციები დაიკმაყოფილონ.

ჩვენ უნდა მივეჩვიოთ იმას, რომ პოზიცია და ოპოზიცია შეთანხმდნენ გარკვეულ პრინციპებზე, სახელმწიფოს გადარჩენის პრინციპებზე, მე არავის ვმოძღვრავ, მაგრამ, რაც მოვისმინე, იმდენად მნიშვნელოვანი ინფორმაციაა, რომ შეიძლება ადამიანი გაგიჟდეს — როგორ შეიძლება ასეთ რამეს ვინმე გეგმავდესო.

დღეს ამის დაშვება, წარმოუდგენელია. ახლა, როცა შანსი გვაქვს, რომ ევროპასთან და დასავლეთთან გაღრმავდეს ინტეგრაციული პროცესები, თუ სააკაშვილის გეგმა განხორციელდება, ყველაფერი ჩამოიშლება.

გთხოვთ ყველას: ცივი გონებით მოვეკიდოთ ამ საკითხს და ვიმოქმედოთ!

ქვეყანას გოგებაშვილი და უზნაძე ჰყავდეს და სხვაგან დაეძებდეს ეროვნული განათლების კონცეფციას, ეს უკვე დანაშაულია!

„საერთო გაზეთის“ სტუმარია ავთანდილ არაბული:

— ბატონო ავთო, სასკოლო განათლება ქვეყნის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. სკოლა უნდა ქმნიდეს საფუძველს, რათა ადამიანებმა ის უნარები შეიძინონ, რაც მათ საკუთარი თავის სრულფასოვან რეალიზებაში დაეხმარება. დღეს რა ვითარებაა სკოლებში განათლების ხარისხის მხრივ?

— მოდით, საუბარი უმთავრესი საკითხიდან დავიწყოთ — ეს გახლავთ შედეგები. სკოლა, პირველ რიგში, ბავშვისთვის არსებობს და მან იქ უნდა ისწავლოს, ცოდნა შეიძინოს. სამწუხაროდ, დღეს ასე არ ხდება და, შედეგების თვალსაზრისით, რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელო მდგომარეობაა. ნებისმიერი ღონისძიება თუ სერიოზული რეორგანიზაცია, რაც განათლების სისტემაში განხორციელდება, შედეგების მიხედვით შეფასებას მოითხოვს. დიახ, სწორედ შედეგებია შემფასებელი ამ სფეროში გატარებული რეფორმისა თუ ანტირეფორმისა. ჩვენი ეროვნული თვისებაა, წარუმატებლობაც კი არაჩვეულებრივად წარმოვაჩინოთ. ზოგადად, თეატრალური ხალხი ვართ — ნახევრადგაკეთებული საქმის პრეზენტაციას ბრწყინვალედ ვახერხებთ. ყველას გვახსოვს ილია ჭავჭავაძის მიერ თათქარიძეობის პრობლემის აკაკი ბაქრაძისეული ფორმულირება — ცრუ აქტიურობა, ცრუ საქმიანობა. ეს არაჩვეულებრივი დიაგნოზია იმ ეროვნული თვისებისა, რაც ჩვენ გვჭირს. აქ მთავარი სიზარმაცე, უყაირათობა, მიზნების განუხორციელებლობა როდია, არამედ ცრუ საქმიანობა, ცრუ აქტიურობაა, რასაც მთავარი გმირები სჩადიან და რაც საბოლოო შედეგს არ იძლევა. უნაყოფობა — აი, რისი შესაფერისია ჩვენი რეალობა. ჩვენ მიერ განხორციელებული რეფორმები თითქოს ყოველთვის და ყოველმხრივ „ევროპულად“ მიმდინარეობს. პიარის მიხედვით, ევროპაში მოწინავენი ვართ, მაგრამ რეალური შედეგები საწინააღმდეგოს მეტყველებს. მრავალწლიანი მცდელობის მიუხედავად, აღმოჩნდა, რომ უწიგნურობა საყოველთაო პრობლემა გახდა, შემცირდა სკოლებში მოსწავლეების რეალური დასწრება, მინიმუმამდე შემცირდა სასკოლო აქტივობა. ეროვნული გამოცდების შეფასებით ფუნქციაზე აღარაფერს ვამბობ: ზოგ შემთხვევაში აუცილებელი გახდა შეფასებითი ბარიერი 9 ქულამდე დაეწიათ — მინიმუმის მინიმუმამდე. შეიქმნა შემდეგი ვითარება — სკოლა დაკისრებულ ამოცანას ვერ აკმაყოფილებს. შედეგების თვალსაზრისით კიდევ ერთ ასპექტზე გავამახვილებ ყურადღებას: — ყოფილა სისტემური მცდელობა, განვითარების ასაკობრივი დონე შემოწმებულიყო. მაგალითად, 2010 წელს დაწყებითი სწავლების საფეხურზე გეგმიურად მოწმდებოდა მოსწრება მათემატიკაში, უცხო ენასა და ქართულში, რამაც შემდეგი რამ აჩვენა: დაწყებით საფეხურზე ჩვენი ბავშვები საშუალო ევროპულ მოთხოვნებს არსებითად აკმაყოფილებენ, საკმარისად ძლევენ პროგრამას, ანუ კარგი შედეგებია. შემდეგ, საბაზო საფეხურზე — მეექვსე კლასიდან, როცა საგნობრივი სწავლება იწყება, თანდათანობით მდგომარეობა



უარესდება. ბოლო საფეხურზე კი მოსწავლის კავშირი სასკოლო პროგრამებთან მხოლოდ ფორმალური ხასიათისაა. ეს პირდაპირი ნიშანია იმისა, რომ ჩვენი სკოლა ვერ მუშაობს, ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რაც თანამედროვე მოზარდების განათლებას სჭირდება.

— 90-იანი წლების მერე საბჭოთა სწავლებიდან ახალ ეტაპზე გადავინაცვლეთ. რა მისცა სკოლას იმ გაუთავებელმა რეფორმებმა, რაც ლომაიას პერიოდიდან დღემდე გრძელდება?

— დიახ, 90-იანი წლების მერე არსებითი ცვლილებები დაიწყო. წარმოვიდგინოთ ერთგვარი რეტროსპექტივა. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ, ბუნებრივია, საბჭოური სწავლების სისტემა ვეღარ შეასრულებდა იმ როლს, რაც ეროვნულ განათლებას ეკისრება, და ბუნებრივად, შინაგანი მოთხოვნით დასაბამი მიეცა გარკვეულ ცვლილებებს, რაც სათანადოდ გააზრებული არ იყო და ვერც იქნებოდა. 90-იან წლებში ძალიან ბევრი ე.წ. პროფილური სკოლა გაჩნდა. ეს პოზიტიური ცდა იყო. შწავლის დიფერენცირებაზე დღესაც საუბრობენ, ოღონდ ეს სათანადო რესურსებს მოითხოვს — მატერიალურსაც და პროფესიულსაც. მაშინ ამან, ცხადია, შედეგი ვერ გამოიღო სრულიად შეუფერებელი პირობების გამო, კერძოდ, არ არსებობდა სათანადო ბაზები. პროფილური სწავლება ხომ, ძირითადად, ახლად გაჩენილ კერძო სკოლებში მიმდინარეობდა. აქვე თვალსაჩინოა კადრების პრობლემაც, რადგან ამგვარ სწავლებას მაღალი კვალიფიკაციის პედაგოგიური პერსონალი სჭირდება.

ამდენად, პროფილური სწავლება შედეგიანი არ აღმოჩნდა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ იგი ცუდი იყო. ნამდვილი რეფორმირების პოლიტიკა, გარდაქმნათა სისტემური გეგმა 90-იანი წლების ბოლოს ალექსანდრე კარტოზიას მინისტრობის პერიოდში დაისახა. მაშინ საქართველოს მთავრობამ განათლების რეფორმისთვის ევროპიდან პირველი ინვესტიცია — მგონი, 60 მილიონის დაპირება მიიღო. კარტოზიამ იმ რეფორმის განხორციელება დაიწყო, რის პოზიტიურ შედეგებსაც ახლა უნდა ვიმკიდეთ. მან მაღალი დონის სპეციალისტები, განათლების სპეციალისტები და მეცნიერები შეკრიბა და სპეციალური ჯგუფები დააკომპლექტა; მიმდინარეობდა კურიკულუმების, პროგრამების, სწავლების თითოეული საფეხურის დამუშავება. ეროვნული გამოცდები ამ სისტემური რეფორმის მნიშვნელოვანი რგოლი გახლდათ.

ამ გეგმის განხორციელება თანამიმდევრულად და საფუძვლიანად დაიწყო. უკვე ამოქმედდა დაწყებითი კლასების პროგრამები და შეიქმნა პირველი ალტერნატიული სახელმძღვანელოები. ზოგი ღონისძიება ეტაპობრივ, სერიოზული აწონ-დაწონის გზით უნდა დანერგილიყო. როცა 2003 წელს ახალი, რევოლუციური ხელისუფლება მოვიდა, კარტოზიას გეგმით, რეფორმის პირველ შედეგებს — ეროვნული გამოცდების ძალაში შესვლას კიდევ ორი წელი სჭირდებოდა. აი, ამ ეტაპზე მოვიდა ახალი ხელისუფლება და გადაწყვიტა „ეფექტური“

ღონისძიებები უსწრაფესად განეხორციელებინა. თუ გავიხსენებთ, მაშინდელი ხელისუფლების ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა პირმა ჟურნალისტის კითხვას: ნაჩქარევი, სპეციალისტების ჩაურთავად განხორციელებული პროცესი ხომ შეიძლება მართებული არ იყოსო, ასე უპასუხა: სამაგიეროდ, შეიძლება ეფექტური იყოსო! ეფექტური ყოველთვის, სასარგებლოს არ ნიშნავს, ხომ? ჰოდა, ლომაიას მოსვლისთანავე სასწრაფოდ დაინიშნა ეს „ეფექტური“ ეროვნული გამოცდები.ე.წ. ეროვნული გამოცდები ჩაფიქრებული იყო, როგორც ახალი და ერთ-ერთი წარმმართველი რგოლი რეფორმირებული სისტემის ფარგლებში, მაგრამ ამ ფუნქციის სათანადოდ გაუაზრებლობის გამო ეს რგოლი საერთო სისტემიდან ამოვარდა, მეტიც, არსებითად სკოლას დაუპირისპირდა.

საბჭოური განათლების მთავარი პრობლემა ექსტენციური სწავლება იყო, რაც იმ იდეოლოგიზებულ ეპოქას ახასიათებდა. ეს სისტემა თანამედროვე მოთხოვნებს არ მიესადაგება, რადგან ექსტენციური სწავლების შედეგები, ცოდნის დაგროვების მხრივ, საკმაოდ შედეგიანი იყო, მაგრამ პრაქტიკული თვალსაზრისით, ცოდნის გამოყენების კუთხით ნაკლოვანი გახლდათ. აი, ეს მიდგომა უნდა შეცვლილიყო ინტენსიური, გაღრმავებული სწავლებით. სწავლების ახალ მოდელს საათობრივი ბადის შემცირება მოსდევს. ყველა საგანს აკლდება სასკოლო საათები, რაც უნდა ანაზღაურდეს სწორედ სწავლების თვისობრიობის გაზრდით. სინამდვილეში რა მივიღეთ? — მოხდა საგნების ინტეგრირება, რამაც განსაკუთრებით უარყოფითი როლი ითამაშა.

მაგალითად, მეშვიდე კლასის

სახელმძღვანელო რომ აიღოთ, ნახავთ: მთელი მსოფლიო ისტორია მოთხრობებად არის მოცემული შუმერებიდან დაწყებული პოსტსაბჭოური დროით დამთავრებული. ასე ყველაფერს ერთად რომ მოაქცევ, თანაც გეოგრაფიასთან ერთად, ასეთი ინტეგრირება მოსწავლეს მხოლოდ დააზარალებს. ამგვარი პრაქტიკით გაღრმავებული სწავლების ნაცვლად მივიღეთ ახალი ტიპის ექსტენციური სწავლება, როდესაც ნაკლებ დროში ვცდილობთ ბავშვს საკმაოდ დიდი მასალა ავათვისებინოთ, რაც განათლების ხარისხს ამცირებს. შედეგად რა მივიღეთ? — მოსწავლეს რომელიც ჭარბი მასალისგან უნდა გათავისუფლებულიყო და გაღრმავებულად ესწავლა, სინამდვილეში საგნობრივი კონგლომერაციით სრულიად დააკარგვინეს შემეცნების წადილი. უპირველესად კი მასწავლებლები აღმოჩნდნენ ამ პრობლემის წინაშე.

აქვე, ერთ არსებით პრობლემაზეც გავამახვილებ ყურადღებას: სწავლება საფეხურებად ხომ დაიყო — დაწყებითი ოთხ-კლასიანი იყო და ექვსიანი გახდა. შემდეგ, მოდის საბაზო სწავლება — მე-7, მე-8 და მე-9 კლასები; შემდეგ, საშუალო, არასავალდებულო — მე-10, მე-11, მე-12 კლასები. ეს სისტემა დღემდე ვერ მუშაობს გამართულად. ჯერ ერთი იმიტომ, რომ დაწყებითი, ფაქტობრივად, ისევ ოთხ-კლასიანია, მერე, ასე თუ ისე, საგნობრივი სწავლება შემოდის. შემდგომ, საბაზო სწავლება სამწლიანია, რაც მნიშვნელოვანი საფეხურია; ახლანდელი სისტემის მიხედვით, ეს საფეხური ასრულებს სავალდებულო სწავლებას. მოსწავლემ პირველი სიმწიფის ატესტატი ცხრა კლასის დამთავრების შემდეგ უნდა აიღოს. არის

კი ეს ასე? — თქვენ თვითონ განსაჯეთ. შემდეგი საფეხური სავალდებულო აღარ არის. ახალი მე-12 კლასი დღემდე თითქმის სრულიად ზედმეტი რგოლად დარჩა. საზოგადოდ, სწავლების საშუალო საფეხური არსებითად სკოლას აღარ ეკუთნის. ბავშვების უმეტესობა სკოლაში ფაქტობრივად კი დადის, მაგრამ „დასწრებისათვის“ და არა განათლების მისაღებად; შედეგად რეპეტიტორობის კიდევ უფრო გაზრდილი ინსტიტუტი მივიღეთ.

არადა, ლომაია ამ რეფორმის ერთ-ერთ მთავარ მოტივად იმას ასახელებდა, რომ რეპეტიტორების ჯიბეებში „მილიონები ილექებაო“! მშრალი სტატისტიკით მაშინ ბევრად ნაკლები ბავშვი ემზადებოდა რეპეტიტორთან. რაც მთავარია, მისაღები გამოცდების მკაცრი მოთხოვნების გათვალისწინებით რეპეტიტორი უთუოდ მაღალი კატეგორიის სპეციალისტი იყო. აბიტურიენტი უმაღლესში შესვლისას სტუდენტის დონეს აკმაყოფილებდა. ახლა, როგორია სარეპეტიტორო სკოლა? — ისეთივე, როგორიცაა ეროვნული გამოცდების მოთხოვნები და ის ურთიერთობები, რომელიც მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის თანამედროვე ქართულ სკოლაში ჩამოყალიბდა. ერთი სიტყვით, გეგმამ, რომელიც სარეპეტიტორო ინსტიტუტის გამორიცხვას მოითხოვდა, სრული კრახი განიცადა.

შემდეგი საკითხი, რამაც სწავლება ფიქციად აქცია, სისტემიდან შეფასების კომპონენტის არსებითად გამორიცხვაა. განათლების ახალი კონცეფცია შეფასების არა გამორიცხვას, არამედ უფრო დახვეწილი სისტემის დანერგვას მოითხოვდა. ბავშვი დისკრიმინაციას არ უნდა გრძნობდეს, მაგრამ იგი ბუნებრივად უნდა იყოს ჩართული შეჯიბრებითობის ატმოსფეროში. პროგრესი გულისხმობდა იმას, რომ, მასწავლების შეფასებასთან ერთად, მოსწავლეები სწავლობდნენ ურთიერთშეფასებას, თვითშეფასებას და თვით პროგრესის შეფასებაც კი. ვთქვათ, თუ სუსტი მოსწავლე თავს გამოიჩენდა რომელიმე გაკვეთილზე, ამ პროგრესის შეფასება ცალკე ხდებოდა, რათა ბავშვი წახალისებულიყო. ბუნებრივია, იგულისხმებოდა, რომ ეს ყოველივე საგამოცდო უნდა დასრულებულიყო. როცა სკოლიდან გამოცდას და შეფასების მომენტს საერთოდ ამოიღებ, შეუძლებელია შედეგს მიაღწიო. თუ ბავშვებში შეჯიბრებითობა არ არის და იგი იმის უკუგებას არ იღებს, რასაც აკეთებს, ბუნებრივია, ეს შედეგს ვერ მოგვცემს. ამან განაპირობა ის, რომ ბავშვებმა, რომლებიც წარმატებისკენ მიილტვოდნენ, ინტერესი დაკარგეს და კერძო მომზადებაზე გადავიდნენ, სასკოლო სწავლება არ აკმაყოფილებთ. ბავშვები კი, რომლებიც ჩრდილში ყოფნას ამჯობინებენ, თავს არხეინად გრძნობენ, დამაკმაყოფილებელს ხომ ისედაც მიიღებენ. აი, ეს ვითარებაა დღეს სკოლაში.

— ბატონო ავთო, დისტანციურ სწავლებაზე რას იტყვით?

— დისტანციურ სწავლებას მართლაც საოცრად მოვერგეთ. მგონი, არცერთ ქვეყანაში ისე წარმატებით არ შეჰგუებიან ონლაინ-სწავლებას — ბავშვებიც და მასწავლებლებიც, როგორც ჩვენთან. რატომ მოხდა ასე? — ალბათ იმიტომ, რომ, ფაქტობრივად, ბავშვების დიდი რაოდენობისა და საგნების მიმართ მათი დაუინტერესებლობის გამო, მასწავლებლისთვის კლასში გაკვეთილის ჩატარება უმართავი პროცესია. ახლა, ონლაინ-სწავლებისას ის ბავშვები აქტიურობენ, ვინც სწავლით დაინტერესებულია, დანარჩენი ნაწილი ფორმალურად ფიქსირდება. მასწავლებელი თავს ძალიან კომფორტულად გრძნობს. ბავშვებიც ამ პროცესს არაჩვეულებრივად მოერგნენ. ბეჯით ბავშვს ურჩევნია მასწავლებელთან ინდივიდუალურ კავშირში იყოს, ზარმაცი ბავშვები ჩართავენ კომპიუტერს თუ მობილურს, მიესალმებიან მასწავლებელს, მერე

გათიშავენ და საწოლში ნებივრობენ. ახლა, როცა არჩევანის შესაძლებლობა მიეცათ, აქტიური მოსწავლეების ნაწილმა სკოლაში დაბრუნება აღარ ისურვა. ესეც ჩვენი სკოლის კრახის კიდევ ერთი გამოხატულებაა.

— რას ენიჭებოდა მთავარი როლი სწავლების ახალ სისტემაში?

— იმ ახალ სისტემაში მთავარი, განსაკუთრებული როლი ეროვნული გამოცდების ინსტიტუტს — ახალ რგოლს უნდა შეესრულებინა. ის უნდა ყოფილიყო სკოლადამთავრებულთა სიმწიფის ერთიანი გამოცდები, ასე იყო ჩაფიქრებული. მაგრამ ახალი „ეფექტური“ ღონისძიებების დონეზე ის ახალ მისაღებ გამოცდებად იქნა რეალიზებული. ეროვნული გამოცდები უნდა ყოფილიყო ძირითად საგნებში სკოლის შედეგების შემოწმება. ამ შეფასების, ანუ ატესტატის მონაცემებს აბიტურიენტი გააგზავნიდა სასურველ უმაღლეს სასწავლებელში, საიდანაც მიიღებდა დასტურს, ანდა დამატებით პირობას. ეს არის მომავალი სტუდენტისა და უმაღლესი სასწავლების ურთიერთობის ცივილიზებული ფორმა და არა ის, რომ ცოდნის თვალსაზრისით არასაურველი აბიტურიენტი გამზადებული ვაუჩერით მიადგეს თავისთვისაც ხშირად სრულიად გაუგებარ უმაღლეს სასწავლებელს. ამიტომაც ვამბობთ, რომ ეროვნული გამოცდები, ერთი მხრივ, დაპირისპირებული აღმოჩნდა და თავისი წილი დარტყმა მიაყენა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას, ხოლო მეორე მხრივ, უმადურ სამსახურს უწევს უნივერსიტეტებს. ერთიანი, ცენტრალიზებული გამოცდების შემკვეთი უნდა ყოფილიყო სკოლა, სინამდვილეში კი შემკვეთი არის ეროვნული გამოცდები. ამდენად, ეროვნული გამოცდების შედეგებს, ერთი მხრივ, უმაღლესი სასწავლებელი აპროტესტებს, რომლის შეკვეთაც ამ დონის აბიტურიენტის მიღება არ ყოფილა, მეორე მხრივ, სკოლა არის დაზარალებული იმიტომ, რომ მას მთლიანად ჩამოართვეს შეფასების ფუნქცია. რას აკეთებს ამ პირობებში მასწავლებელი? — სკოლაში აქვს პროგრამა, რითაც ბავშვებს უნდა ასწავლოს. ხოლო როგორც რეპეტიტორი, ასწავლის იმას, რაც ეროვნული გამოცდებისათვის სჭირდება. სხვადასხვა ინტერესებია. ეს გახლავთ დანგრეული შისტემა და ისიც ნათელია, რამ განაპირობა ასეთი შედეგის მიღება?

იმის გათვალისწინებით, რა სურათიც დაიხატა, ბუნებრივია, სისტემა ძალიან სერიოზულ რეფორმას მოითხოვს. მთელი ამ მწარე გამოცდილების მიხედვით, აუცილებელია გაბედული ნაბიჯების გადადგმა — მთლიანი სისტემის ხედვით დაწყებული და პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით დამთავრებული. არსებითად ახალი სისტემა უნდა შეიქმნას. ამას დიდი ცოდნა და მოთმინება სჭირდება. როგორც აღვნიშნე, დაწყებით საფეხურზე ნაკლები პრობლემები გვაქვს, შემდეგი საფეხურების კონცეფცია ფუნდამენტურად უნდა დამუშავდეს.

— საკმაოდ ბევრი პრობლემა ჩამოთვალეთ: სასკოლო პროგრამიდან ეროვნული მასალის ამოღება, საატესტატო გამოცდების გაუქმება, ე.წ. პროფილური სწავლება და ა.შ. რას იტყვით, ე.წ. ფინურ მოდელზე?

— დიახ, იდეალურია ბავშვის ინდივიდუალური ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინება. მიზნობრივი სწავლებისას სკოლა ძალიან განვითარებული და უზრუნველყოფილი უნდა იყოს. ფინურ მოდელში მასწავლებელი მთელი დღე სკოლაშია. შრომის ანაზღაურების პრობლემა არ უდგას და, უმთავრესად, ბავშვებთან ინდივიდუალურად, მათი ინტერესების შესაბამისად მუშაობს. თუ ვინმემ ძირითად დროში მოასწრო საჭირო საგნების მომზადება, სახლში მიდის, თუ ვერ მოასწრო, რჩება და მუშაობას აგრძელებს. მასწავლებელი იქამდე რჩება, სანამ ეს ბავშვებს სჭირდება. ჩვენს სკოლაში ხომ ეს წარმოუდგენელია. მასწავლებელს იმის შესაფერის ანაზღაურებას ვერ ვაძლევთ, რასაც სკოლაში აკეთებს. ისიც კი ვერ მოხერხდა, რომ კლასში ბავშვების ოდენობა 20-მდე შემცირდეს. კლასში 30–35 ბავშვია და ეს სრულიად უმართავი პროცესია. საზოგადოდ, ვერანაირი სხვისი, თუნდაც იდეალური, მოდელის მექანიკური გადმოღება ვერ შეუქმნის ვერავის სასურველ პერსპექტივას. ეს რომ შესაძლებელი იყოს, პირველ რიგში განვითარებული ქვეყნები აღარ იქნებოდნენ მუდმივად საკუთარი მიღწევების დაცვასა და გაუმჯობესების ძიებაში. ქვეყანას გოგებაშვილი და უზნაძე ჰყავდეს და სხვაგან დაეძებდეს ეროვნული განათლების აწყობის გასაღებს, ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ ასეთი ძიება „ტაძრამდე ვერ მიიყვანს“. ხალხს გურამ რამიშვილისეული დედაენის თეორია, ანუ ენობრივი განათლების წმინდად ევროპული კონცეფცია, ჰქონდეს და თითისტოლა ბავშვებთან დედაენის დვრიტას კი არ აღვივებდეს, არამედ პირველივე კლასიდან უცხო ენის ინტენსიურ სწავლებას იწყებდეს (თანაც მხოლოდ ერთი პირის აფექტური გადაწყვეტილებით 2008 წლის შოკის საპასუხოდ!), მომავლის გზას რომ ვერ გაიგნებს, ნათელია; ერს რომ საღმზრდელოდ უმდიდრესი ისტორია და ლიტერატურა ჰქონდეს და ამ საგნების ხარჯზე ისედაც გაჭედილ საგნობრივ ბადეში გაუგებარ „სამოქალაქო განათლებას“ ტენიდეს, უნდა იცოდეს, რომ საბოლოოდ დაკარგავს ადამიანურ, მაიდენტიფიცირებელ ორიენტირებს თანამედროვე გლობალურ სამყაროში.

— როცა ბავშვი სკოლაში დაინტერესებას ვეღარ ნახულობს, ქუჩაში ინაცვლებს. მათ ღირებულებები, ზნე, ხასიათი გაუკუღმართებული აქვთ, რაც წარმოშობს გაუნათლებელ, არაპროფესიონალ კონტინგენტს როგორც მასწავლებლებში, ისე ბავშვებში. ამას, ემატება ტექნოლოგიებისადმი ჭარბი ინტერესიც.

— დიახ, სერიოზული პრობლემაა ურთიერთობა თანამედროვე ტექნოლოგიებთან, რაშიც ბავშვები ასე გათვითცნობიერებულები არიან. გახსოვთ, კომპიუტერის შეტანა პირველ კლასებში დიდ პროგრესად იყო მიჩნეული. გეხსომებათ, ერთი შუახნის მასწავლებელი ამბობდა: მე ბავშვებს წერაც და კითხვაც კომპიუტერით ვასწავლეო. ეს სწავლებაზე სრულიად არაადეკვატური წარმოდგენაა — პირველ კლასელ ბავშვს ასოების გამოყვანა კომპიუტერით როგორ უნდა ასწავლო?! ეს იყო წმინდაწყლის ქაჯობა, რაც სააკაშვილის ხელისუფლებამ ინდივიდუალური კომპიუტერების კამპანიით გააკეთა. არცერთ ნორმალურ ქვეყანაში პატარა ბავშვებს კომპიუტერს არ აჯაჭვავენ. ევროპის ბევრ სკოლაში, განსაკუთრებით, ბოლო პერიოდში, მოსწავლეებს მობილურების შეტანა აუკრძალეს. ჩვენი ბავშვები მობილურებს ვერ შორდებიან და არაფერს სწავლობენ. მასწავლებელიც არ უშლის — ბავშვი მობილურით ერთობა და კლასში ნაკლებს ცელქობს!

ცალკე საუბრის თემაა პედაგოგის მდგომარეობა დღევანდელ სკოლაში. ტრადიციული სკოლა მასწავლებლის ავტორიტეტზე იდგა. იგი არა მხოლოდ საგნის მასწავლებელი, მოძღვარი და აღმზრდელიც იყო. მანდატურის ინსტიტუტის შემოღებამ სკოლას უზარმაზარი დარტყმა მიაყენა. დაჯერებით ვამბობ: ქართულ სკოლას ეს ინსტიტუტი არ სჭირდებოდა, ძალად მოახვიეს თავს. ეს იყო მაშინდელი ტოტალური მართვის პირდაპირი გამოხატულება. როგორც კი მოსწავლესა და მასწავლებელს შორის პოლიციელი დგება, საღმზრდელო ურთიერთობაც მთავრდება.

ის უზარმაზარი დრო და ხარჯები, რაც ცრუ სარეფორმო აქტივობებისათვის გაიფლანგა, მასწავლებელთა გადამზადებაზე რომ დაბანდებულიყო, დღეს ჩვენი სკოლა თვისობრივად მაინც ბევრად უკეთესი იქნებოდა. თუკი მონდომება იქნება, ამ მიმართულებით დღესაც შეიძლება რაციონალური და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა.

თამარ შველიძე
555 23 28 24

საქართველო – საზღვაო ქვეყანა, რომელიც „ნაციონალებმა“ ძველი ხომალდივით ზღვაში ჩაძირეს

გვესაუბრება ჟურნალისტი თამარ დოლიძე:

— ქალბატონო თამარ, ჩვენთან ინტერვიუ მოისურვეთ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს შესახებ. როგორც მივხვდი, საუბარი გაზეთის წინა ნომერში გასულ ირაკლი ჯანყარაშვილის ინტერვიუს შეეხება.

— დიახ. წავიკითხე თქვენი ინტერვიუ ირაკლი ჯანყარაშვილთან. მე ჯანყარაშვილს არ ვიცნობ, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ, რასაც ამბობს თქვენთან საუბარში საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსთან დაკავშირებით, არის სრული სიმართლე.

სანამ ე.წ. „ვარდების რევოლუცია“ მოხდებოდა, ამ დაწესებულებას ერქვა საზღვაო-საოკეანო დეპარტამენტი და როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, შედიოდა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს დაქვემდებარებაში. მაშინ მე ამ სამინისტროში ვმუშაობდი. იმ

პერიოდში სამინისტროს ეგიდით საინფორმაციო-ანალიტიკური გამოცემა, გაზეთი „აბრეშუმის გზა“ გამოდიოდა. ამ გაზეთის ეკონომიკური განყოფილების უფროსი ვიყავი მე.

„ვარდების რევოლუცია“ რომ მოხდა, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს ხელმძღვანელი მერაბ ადეიშვილი, როგორც მაშინდელი ხელისუფლების სხვა მინისტრები, დააპატიმრეს.

თანამშრომლები გაგვათავისუფლეს.

„რევოლუციონერებმა“ მალე კახა ბენდუქიძე ჩამოიყვანეს და ეკონომიკის მინისტრად დანიშნეს. ბენდუქიძე ადგა, მთლიანად გააუქმა ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო და გადააქცია დეპარტამენტად. ამ სახით არსებობს ის დღემდე.

უდიდესი დამანგრეველი ძვრები მოხდა მაშინ ამ დარგში. ბენდუქიძემ მოსპო მრეწველობის საძირკვლები მთლიანად იმ მოტივით, რომ, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, მრეწველობა არასდროს ყოფილა საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტი. არადა, იყო პერიოდი, როცა საქართველოში ჰყვაოდა მსუბუქი მრეწველობა, კვების, გადამამუშავებელი, სამთო-გეოლოგიური და ა. შ. მრეწველობა.

ამ რევოლუციურ „წარღვნაში“ გააქრეს საზღვაო-საოკეანო სამინისტრო.

ჩემი იქ მუშაობის პერიოდში სამინისტროში მოღვაწეობდნენ უძლიერესი სპეციალისტები, საინტერესო ადამიანები, პიროვნებები, ცნობილი კაპიტნები, საზღვაო დარგის სხვა სპეციალისტები, რომლებმაც ზედმიწევნით იცოდნენ ამ დარგის სპეციფიკა, მართვა და ყველა ნიუანსი. ერთი ხელის დაკვრით ეს ადამიანები ქუჩაში აღმოჩნდნენ, დარგი მოისპო და განადგურდა.

— რამდენადაც ვიცი, გემებიც გვყავდა მაშინ და ჩვენი დროშით შორეულ ნაოსნობებსაც ვახორციელებდით.

— ჩვენ საზღვაო ქვეყანა ვართ. საქართველოს ჰქონდა ზღვის სრული ინფრასტრუქტურა.

დღეს კი ხმამაღლა ვაცხადებ: ამ დარგის და არა მხოლოდ ამ დარგის, მთლიანად საქართველოს ეკონომიკის სრული განადგურების ე.წ. რეფორმა „ვარდოსნებმა“ და ეკონომიკის ჯალათმა კახა ბენდუქიძემ განახორციელეს.

საზღვაო-საოკეანო სატრანსპორტო სამინისტრო გადაიქცა დეპარტამენტად და დასაქმდნენ არა კვალიფიციური კადრები, არამედ ისინი, ვინც ამ ე.წ. რეფორმატორების „კამანდაში“ იყვნენ.

ისინი, ცხადია, ვერ იმუშავებდნენ, მათ საქმე არ იცოდნენ, ამიტომ ისხდნენ წყნარად თავიანთ სკამებზე და ბიუჯეტიდან იღებდნენ დიდძალ თანხებს ხელფასების და დანამატების სახით, ჯილდოვდებოდნენ სიჩუმისთვის, გულგრილობისთვის, კოლაბორაციონიზმისთვის.

ნაციონალების მოსვლის დღიდან არა მხოლოდ ამ დარგში, ფაქტობრივად, არც ერთ დარგში, სახელმწიფოებრივი საქმე არ გაკეთებულა.

საზღვაო-სანაოსნო კუთხით ხომ საერთოდ გაჩერდა ყველანაირი აქტივობა.

იყო სრული რეგრესი და სიცარიელე.

ამ დროს გამოჩნდა ჩემი კლასელი მამუკა ახალაძე. კლასში და სკოლაში ის იყო გამორჩეული მოსწავლე. მათემატიკა-ფიზიკაში იყო პირდაპირ ვუნდერკინდი. ძალიან აინტერესებდა საზღვაო საქმე. სკოლა რომ დავამთავრეთ, მამუკამ ჩააბარა ბათუმში, საზღვაო აკადემიაში. ისეთი წარმატებული კურსდამთავრებული იყო, რომ მისით დღემდე ამაყობს აკადემია.

ასეთი გამორჩეული ქართველი იყო და არის მამუკა ახალაძე, უკეთილშობილესი ადამიანი.

მოგეხსენებათ, გერმანელები ტყუილად არავის დააწინაურებდნენ და მით უმეტეს, არც კაპიტნის ჩინს მისცემდნენ ვინმეს. მამუკა ახალაძე კი გერმანული კომპანია „შიფმენეჯმენტის“ შორეული ნაოსნობის კაპიტანი იყო.

საზღვაო აკადემიის დამთავრების შემდეგ ის ამ კომპანიაში მუშაობდა უბრალო იუნგად და კაპიტნობამდე მიაღწია.

მამუკა ყოველთვის იყო ქვეყნის პატრიოტი და მოყვარული. მე მას ხშირად ვეკონტაქტებოდი და ბევრჯერ უთქვამს, რომ უნდოდა თავისი შესაძლებლობები საქართველოსთვის გამოეყენებინა. ეს ერთი უბრალო, ჩოხატაურელი ბიჭი, საშუალო შეძლების ოჯახის შვილი, რომელსაც უკვე ჰქონდა დაგროვილი ცოდნაც და გამოცდილებაც, ჩამოვიდა გერმანიიდან, კიატოვა იქ ყველაფერი და საქართველოში შექმნა საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო.

მე ხშირად ვეკონტაქტებოდი მას, როგორც ძველ მეგობარს და ახლობელს. ერთხელაც მისი ყველა ნომერი გამოირთო, რომ ვიკითხე — ხომ არ იცით მამუკას შესახებ რამე-თქო, მითხრეს, რომ ის თავისივე შექმნილი ორგანიზაციიდან გაათავისუფლეს და მის ადგილას ყოველგვარი კონკურსის ან შერჩევის გარეშე დასვეს სხვა. ეს სხვა აღმოჩნდა თამარ იოსელიანი.

დღეს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო მთლიანად დაღუპვისკენ მიდის და ის 10 მილიონი, რომელიც ბიუჯეტიდან ერიცხება სააგენტოს, რაში იხარჯება, კაცმა არ იცის. უზარმაზარი ხელფასები ეძლევათ თანამშრომლებს და იგივე სცენარით, როგორც ბენდუქიძის დროს, სხედან სკამებზე ჩუმად, რომ მიიღონ მაღალი ხელფასები.

— მას შემდეგ მამუკა ახალაძეს აღარ შეხმიანებიხართ?

— ეს სააგენტო რომ შექმნა, როგორც გითხარით, ხშირად ვკონტაქტობდით. მახსოვს, ვკითხე, გერმანიიდან რატომ წამოხვედი-მეთქი. მომბეზრდა მუდმივად ზღვაში ყოფნა, ჯანმრთელობაზეც იმოქმედა ზღვის ჰავამ, მიწაზე ფეხის დადგმა მენატრება, ბოლოს და ბოლოს, ოჯახთან მინდა ვიყოო. ძალიან უნდოდა, საქართველოში ყოფნა და მუშაობა. ახლა ის კვლავ გერმანიაშია. დარწმუნებული ვარ, აიძულეს, დაეთმო მისივე დაარსებული ორგანიზაცია. ახლა გერმანიაში ისევ იმ კომპანიაში მუშაობს, სადაც ადრე იყო და ისევ ცურვაშია. არადა, მამუკა ახალაძე არის უდიდესი პატრიოტი. ის არის კაცი, რომელიც არაერთხელ დახმარებია საზღვარგარეთ მყოფ ხიფათში ჩავარდნილ ქართველ მეზღვაურებს. მას კარგად იცნობს საერთაშორისო საზღვაო საზოგადოება, როგორც ამ დარგის ერთ-ერთ ავტორიტეტულ პირს. მე ვიცი მისი შესაძლებლობების შესახებ და მამუკა არათუ საქართველოდან იყო გასაძევებელი და სააგენტოდან მოსაშორებელი, არამედ უფრო დიდ თანამდებობაზეც რომ ყოფილიყო, თავისი ცოდნით, ნიჭით და პატრიოტობით, ჩვენს ქვეყანას ბევრ საქმეში სასიკეთოდ წაადგებოდა.

გააძევეს ადამიანი, ისევ დააშორეს თავის ქვეყანას, ოჯახს, მიწა-წყალს.

რაც შეეხება თამარ იოსელიანს, ისიც ჩვენი პერიოდის სტუდენტია. თუ არ ვცდები, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობა აქვს დამთავრებული. თუმცა უნივერსიტეტში იშვიათად ჩნდებოდა. უცხოური სერტიფიკატები, სავარაუდოდ, ექნება. 3-თვიანი და 6-თვიანი კურსების გავლა საზღვარგარეთ შეძლებული ოჯახების შვილებს არ გაუჭირდებოდათ და არც ახლა უჭირთ. ეს არ არის ძნელი ამ პერიოდში. ჩაფრინდებიან, მაგალითად, ლონდონში, გაივლიან კურსებს, უცხოეთი აძლევს მოწმობას, სერტიფიკატს, მოდიან მერე საქართველოში და ხდებიან მინისტრები.

სამწუხარო ისაა, რომ ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრდა ტენდენცია, მაგალითად, მსახიობი, თუ კარგი მენეჯერია, შეიძლება, დაინიშნოს დაწესებულების დირექტორად, ან გახდეს პარლამენტარი და კანონმდებელი. ჩვენ რომ შრომის კოდექსი გვაქვს, ასეთი არ აქვს სომალის, ან აფრიკის სხვა სახელმწიფოებს, წარმოუდგენელი ამბავი ხდება ამ კუთხით და სხვათა შორის, ესეც „ვარდების რევოლუციის“ და კერძოდ, კახა ბენდუქიძის „დამსახურებაა“.

სახელმწიფო არის შრომის კოდექსი, დასაქმება, გარემო ამ შრომისთვის და არა ისე, რომ, მაგალითად, იოსელიანისნაირებს, მოჰკიდო ხელი და ამხელა პასუხისმგებლობის საქმე ჩააბარო.

უნივერსიტეტში პროფესორები ჰქვიათ ადამიანებს, რომლებსაც თავიანთ პროფესიაში ელემენტარული ცოდნა არ აქვთ და თაობებს კი ზრდიან. როგორ ზრდიან ან რას ასწავლიან, ეს კიდევ საკითხავია.

უკიდურესი ვითარებაა. ამას ვერც დღევანდელი მთავრობა უშველის და ვერც ბევრი წლის თავდაუზოგავი შრომა. ნაციონალებმა იმდენად მოსპეს ყველაფერი, შველა და გამოსწორება, ამ ვითარებაში, წარმოუდგენელია.

განათლების მოსპობა ყველაზე დიდი უბედურებაა ჩვენი ქვეყნისთვის.

მოსწავლეები სკოლას ამთავრებენ და გამრავლების ტაბულა არ იციან.

უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტებზე 100 ადგილს ვერ ავსებენ ჩვენი აბიტურიენტები. მინიმალური ცოდნა არ აქვთ ახალგაზრდებს, რომ ჩაირიცხონ ამ ფაკულტეტებზე.

ასეთ საზოგადოებას ვქმნით ჩვენ? და ასე გვინდა ქვეყანა განვითარდეს?

ასეთი ტიპის ადამიანებმა გააძევეს საქართველოდან მამუკა ახალაძე, რომელმაც არ იკადრა ამათთან ბრძოლა. პრინციპში, აზრიც არ ჰქონდა, ალბათ...

ასე ვკარგავთ მცოდნე კადრებს, ვანიავებთ ადამიანურ კაპიტალს. აი, მაგალითად, საქართველოს საზღვაო-სანაოსნო სექტორი დღეს უვიცების იმედადაა. საქართველოს ერთი გემი ჰყავს, ისიც ამორტიზებული, ხოლო სახელმწიფო 10 მილიონს უხდის სააგენტოს არაფრის კეთებაში.

ძალიან მაინტერესებს, რა კეთდება ამ სააგენტოში და სად არის სახელმწიფო აუდიტის სამსახური, რატომ არ ინტერესდება საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს საქმიანობით?!

სად მიდის ჩვენი ხელფასებიდან გადახდილი თანხები, არ გვაქვს უფლება, რომ ვიცოდეთ?!

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ხალხი უკვე იმ დონეზეა, მალე კომბლებით გამოეკიდება „ნაცებს“

ან კანონი აკანონონ, ან ხალხი აიღებს ხელში ძალაუფლებას

სულ არ არის აუცილებელი, ადამიანი მმართველი პარტიის მომხრე იყოს, რომ უარყოფითად იყოს განწყობილი კოლექტიური ნაცების ე.წ. საპროტესტო აქციების, თან „გრანდიოზულს“ რომ უწოდებენ „ორგანიზატორნი“ და მაქსიმუმ 5.000 პერსონასაც ვერ აგროვებენ, მიუხედავად ფულის გადახდისა. პარლამენტის წინ დაყრილმა „ურდომ“ ხომ საერთოდ, უკიდურესად გააღიზიანა თბილისელები თუ არათბილისელები. „არა პიკეტირებას, არა ქუჩის აქციებს, დავიღალეთ. დღეს პარლამენტთან მომიწია გავლა, ცივილურობის ნასახიც არ გვეტყობა, პაპუასებივით გაშლილი კარვები. დამღლელი და ამაზრზენია ამის ყურება შუა რუსთაველზე XXI საუკუნეში“, წერს ფეისბუქმომხმარებელი ქალბატონი.

იგივე აზრზეა მეორე მოქალაქეც: – „პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია, ქაშუეთის ბაღი და პირველი სკოლის გამწვანება, ფულით ჩამოთრეული ნაცსექტანტების ტუალეტადაა გადაქცეული. ყარს იქაურობა! შეუძლებელია ამის ატანა, ან მთავრობამ მიხედოს და გარეკოს ტურტლიანები, ან მთაწმინდა-სოლოლაკი მივხედავთ!“.

მის პოსტს ასე ეხმაურება საღად მოაზროვნე საზოგადოება: ხშირად ვაწყდები უკვე ასეთ წინადადებებს, თქვენ თუ ვერა, ჩვენ მივხედავთ! გამოვიდეთ, ხალხმა მივხედოთ ნაცებს და ა.შ. კი მაგრამ მართლა აღარ გვყავს დედა? რას აკეთებენ ბოლოს და ბოლოს? ან კანონი აკანონონ, ან მართლა ხალხი აიღებს ხელში ძალაუფლებას და მერე მდინარაძის „რეჩები“ ვეღარ უშველით... მე მგონი, ის დროა, ხალხმა გადარეკოს ეს „კარვოსნები“ იქ, საიდანაც ჩამოეთრივნენ... მგონი ეგ დროც მოვიდა.

ხელისუფლების და მით უმეტეს, კოლექტიური ნაცების თავიანთ სატელიტებიანად საყურადღებოდ, არიქა, რას იტყვის დასავლეთი, ნაცებს ბუზი რომ აუფრინდეთო, საზოგადოებას უკიდურესად აღიზიანებს ეს პოზიცია. ხალხის თვალში ისედაც დაცემულია მაგ „დასავლელების“ რეიტინგი, ნაცების ნულსქვემოთ „დრეიფზე“ აღარაფერს ვამბობ, ისე ნუ იზამთ, რომ მაგ „მეგობარ“-პარტნიორების ავტორიტეტიც კოლექტიური ნაცებისას გაუტოლდეს. მართლა გამოვიდეს ქუჩაში, ნაცჯალათების უტიფრობის და მათი დამცველების „შეგონებებისგან“ გაბეზრებული ხალხი, რასაც ნამდვილად აღარ ექნება სასიამოვნო სახე?“.

ხომ არ დადგა დრო, ნაცტერორისტებს ჩვენ მივხედოთ, მივუჩინოთ საკადრისი ადგილი და გავუგრილოთ ცხელი თავები?!“. ესეც საზოგადოების წევრთა გამოხმაურება — ხალხი უკვე იმ დონეზეა, მალე კომბლებით გამოეკიდება ნაცებს. აუცილებელია ამის გაკეთება, ეს მინიმუმ 2013 წელს უნდა გაგვეკეთებინა, როცა ევროპელი მფარველები ნაცებს გადაეფარნენ და არ დაუშვეს სამართლის აღსრულება! ამოგვიდა ყელში ამათი გაუმაძღრობა და ღორობა, ამისთვის წეწავენ და გლეჯენ ერთმანეთს. გამოვალთ აბა რას ვიზამთ, ბავშვებით გამოვალთ, პირადად მე გავუძღვები ქართველ დედებს წინ. აბა გაბედონ და გზაზე გადაგვეღობონ“.

მმართველი პარტიის წევრის შალვა პაპუაშვილის განცხადებას, რომ თანახმა არიან 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს ბარიერმა 3%-მდე დაიწიოს, თუ პარლამენტში შესაბამისი რაოდენობის დეპუტატი განახორციელებს მანდატს, სოციალურ ქსელში ასე ეხმაურებიან, 3% კი არა, არცერთი პროცენტი ოპოზიციას, ეგენი არაფრის ღირსები არ არიან. რას უსმენთ იმ ამერიკელ მეგობრებს, იმათ სულ არ აინტერესებთ საქართველოს უბედურება, რაც ამ დამპალმა ნაცებმა ხალხს დამართეს. ჩვენ ქართველებს კი, ეს უვარგისი ოპოზიცია საერთოდ არ გვჭირდება. რას აკეთებენ ხალხისთვის? არაფერს. თავისი მომხრეებიც კი მშრალზე დატივეს ამ ღორებმა. რატომ ტივტივებს ქართულ პოლიტიკაში ბოზპედარული ოპოზიცია? იმიტომ, რომ მათი „გაჯეჯილება“ ამერიკას აქვს დავალებული „ქართული ოცნებისთვის“. ფეისბუქმომხმარებლების რისხვა დაატყდა „მარადმწვანე“ ე.წ. ოპოზიციონერ შალვა ნათელაშვილს „ლოზუნგისთვის“, მთელ საქართველოს მოვუწოდებ, ყველანი ფეხზე, ყველანი გარეთ, სანამ არ დავამთავრებთ ამ ანტიეროვნულ რეჟიმსო. ახლა ამას (ანუ „მეომარ“ შალიკოს) ნორმალური ჰქვია, მაგის ჭკუით, დავყრუვდით და დავბრმავდით? სიშტერესაც საზღვარი აქვს. საქართველოს სამარცხვინო ლაქა, ყოვლად უსინდისო, უთავმოყვარეო, უზნეო არსება. მაგ ნაძირალას სახელ-გვარს რომ წაიკითხავ, ვითომ სიცარიელეა, უნდა გამოტოვო. ნულოვანი ტოლერანტობა ქართველ თახსირ ლეიბორისტებს! ყველანი სააკაშვილში! უზნეო და უსინდისო რომაა, იმიტომაც იქცევა ასე, ეს სტაჟიანი აფერისტი. შე ცალტვინა, სულ აიღე ნამუსზე ხელი, ანტიეროვნულიც ხარ და ანტიადამიანურიცო. მელიას მხარდასაჭერ ავტოკოლონით მსვლელობაზე — რუსთავის სასჯელაღსრულების დაწესებულებასთან გამართულმა „გრანდიოზულმა“ აქციამ ლოზუნგით, „თავისუფლება გავრილოვის პირად პატიმარ ნიკანორ მელიას“-ო, ფეისბუქმომხმარებლები გაამხიარულა, ფანჩატურიდან ვახტის კარამდე, მაინც რამდენი იკრიბებიან ეს შეჩვენებულები... რამდენი ვართ ბიჭო, ვაი თქვენ გაგწყვიტათ კოვიდმა. ყ...თა ჯოგი, მელიას მოუ...ან პატრონი. აუ, რამდენი ხართ, +17–18 კაცი და თქვენ რევოლუციასაც მოაწყობთ ალბათ. რამდენნი არიან, ამათ რას მოუგებ არჩევნებს. ნეტა რას დაპრიწიალობენ?! რას დადიხარ უსაკურთხო მკვდარივითო, იმერეთში რომ იციან თქმა, აი, რა ყოფილა. გაღიზიანება გამოიწვია სახელმწიფო კანცელარიასთან გამართულმა მდუმარე აქცია-პერფორმანსმა — „სად არის ვაქცინა“. იმდენი თქვენი... რაც თქვენ ვაქცინა და ხალხის ჯანმრთელობა არ გაწუხებდეთ. ეს ქარაქუცა შტატიანი „აქტივისტები“. თქვენ დედებს შე...ა ბიძოს ზებრამ სათითაოდ. ეს მიჰას... ვირთხები. ამათ ხალხი როგორ უყვართ, ნანახი გვაქვს. უჩათლახესია ყველა იქ შეკრებილი და მათი შემკრები.

მავანთა მიერ „უჭკვიანესად“ შერაცხულმა და თავადაც ამაში „დაჯერებულმა“ ბოკერიამ გვამცნო, მოვუწოდებ ივანიშვილს, საპაკაშვილის ჯინაზე აუცილებლად დათანხმდეს პლებისციტს, გამოუშვას პოლიტპატიმრები, მერე შეეგუოს მარცხს ჯერ პლებისციტში და შემდეგ მარცხს არჩევნებშიო. შენ რისი იმედი გაქვს ბოკერია, ვითომ შენს კომიქსების ბოროტი პერსონაჟების“ „კამანდასთანაც“ დამარცხდება „ქართული ოცნება“? ისე, ხანდახან შეიჭყიტე ხოლმე სოციალურ ქსელებში, რომ აზრზე მოხვიდე რა „ავტორიტეტი“ გაქვს რეალში. შე ბუნების შეცდომავ შენა. მარტო სახის გამომეტყველებას შეხედეთ, ეს ფსიქიკურად ნორმალურია? ჯინაზე რომ აკეთებთ ყველაფერს, იმიტომ არის ყველაფერი წესრიგში. შენ რომ ქართველი ხალხის „ჯინაზე“ სახლში დაჯდე და დაანებო ხალხს თავი, არაა?!

ფეისბუქმომხმარებლების უკიდურესი გაღიზიანება გამოიწვია იმ ამბავმა, რომ ცესკოს შენობასთან პირდაპირ შეურაცხყოფას აყენებდნენ კოლექტიური ნაცები და მათი „აქტივი“ პოლიციელებს. როდემდე უნდა ურტყან პოლიციელებს თუ სპეცრაზმელებს ჯალათების სექტამ, ვინმემ რომ ვერ მოთოკოს ნერვები და ძვალრბილი გაუერთიანოს მოძალადე სექტანტს, მერე რას იზამთ, ამ ძალოვანს გაისტუმრებთ გისოსებს მიღმა? რატომ უნდა იტანდეს პოლიციელი ამდენ შეურაცხყოფას? რატომ არ სჯით ამ ნაძირალებს, რა ხელშეუხებლები არიან, რატომ არევინებთ ქვეყანას, სხვამ რაღა დააშავა? ამერიკის მოქალაქე ვარ და იმ დემოკრატიულ ქვეყანაში ვინმემ გაბედოს და პოლიციელს შეეხოს. აქ რა, კანონი სხვაგვარად იწერება?

ძნელია არ დაეთანხმო იმ აზრს, რომ საქართველოს ხელისუფლებას სხვა არჩევანი არ აქვს, ან დროზე უნდა ამოსდოს ლაგამი ნაცტერორისტებს, ან ყველაფერი ჩამოიშლება აქედან გამომდინარე შედეგებით“.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

გიგა და გიგი

პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური ნოველა

ბოლო დროს უძილობა დასჩემდა. მას შემდეგ, რაც ფოთის მოსახლეობამ ვერ გაუგო და ხმა არ მისცა, აეგრე გაკეკელავდება ხოლმე. თითქოს საბანიც დამძიმდა, ბალიშიც აღარ არის ისეთი ფაფუკი. მეტიც, გეგონება ირგვლივ ყველა და ყველაფერი გაუხეშდა. აი, ცოლიც კი, ადრე სათნო და ფაქიზი რომ ეჩვენებოდა, თხასავით გახდა, ველარ ჩერდება – ლამისაა კედლებზე იაროს, ხელების პარჭყვა დასჩემდა. სანამ მნიშვნელოვანი თანამდებობები ეკავა და პარლამენტშიც მორჭმით იჯდა, ყველაფერი სხვანაირად იყო, უფრო ფაფუკად. არა, რაც ბიძინა ივანიშვილი მოვიდა ხელისუფლებაში, ქვეყანა კი ინგრევა და იღუპება, მაგრამ ჰაერს შედარებით მაინც იოლად სუნთქავდა. ეხლა რა გამოდის? აღარც პარლამენტი, აღარც აღარაფერი. ცოლი ეჩხუბება, ხელებს უპარჭყავს, საკუთარ თავზე ზედმეტი წარმოდგენა შეგექმნა, ნამეტნავი შედეგები მოინდომე და ქე დარჩი ამოგდებულიო. რა იყო, შე კაცო, სიაში ცოტა ზემოთ მაინც ჩაწერილიყავი, ხომ შეგრიალდებოდი პარლამენტშიო? ჰმ... ამოგდებული დარჩიო. ფაქტობრივად ეგრეა, ამოგდებული დარჩა, მაგრამ ვინ არის დამნაშავე? რა თქმა უნდა, ამომრჩეველი, საქართველოს მოსახლეობა, საზოგადოება, მუშათა კლასი, გლეხობა, ინტელიგენცია. ნახეთ, ვის ეხვეწებიან, შემოდით პარლამენტშიო, ეს ქეციანები რომც შევიდნენ, რა უნდა გააკეთონ? ჯერ ერთი, კანონების წერისა არაფერი იციან და მეორეც – ვერც ერთ მინისტრს ვერ გაუტრაკებენ. აი, თვითონ რომ უტრაკებდა, მთელი ქვეყანა ყალყზე დგებოდა, მთელი თვე ქართული მედია ამ გატრაკებაზე ლაპარაკობდა – ექსპერტები სწავლობდნენ, პოლიტიკოსები აკომენტარებდნენ, მოსახლეობას აწვდიდნენ, უხსნიდნენ, განა ეს პატარა ამბავი იყო? ბოლოს და ბოლოს, ამ ქვეყანაში "პარადი" მიჰყავდა. ეხლა რა გამოდის? აქციებზე უნდა ირბინოს, მაჭუტაძეებსა და ვინმე ბუაძეებსა სდიოს, ცხვირმოუხოცავი გოგო-ბიჭები ჭკუაზე არიგოს, დემოკრატიის ანა-ბანა უკითხოს... არა, განა ესირცხვილება, განა ეს საპატიო მისია არ არის? არის, ნამდვილად არის, მაგრამ ყველაფერს რომ თავისი დრო და მომენტი აქვს? მაშინ, როცა გიგა ბოკერიას, უზარმაზარი გამოცდილების მქონე პოლიტიკოსს, ვეებერთელა ტვინის პატრონს ხელის გულზე უნდა ატარებდნენ, ის ქუჩაში დარბის და პოლიციელებს უხსნის, როგორ უნდა მოიქცნენ გალაჟღაჟებული დემოკრატიის პირობებში. ბოლო დროს თამარამ ძალიან აუშვა აფრები, სულ დასცინის, შენ უხალხო პოლიტიკოსი ხარო, მაჟორიტარობაზე არც კი უნდა გეფიქრა, მუდამ სიაში უნდა მჯდარიყავიო. სადღაც სიმართლეს ამბობს, მაგრამ მწარე ირონია მაინც მიუღებელია, ამ ქალმა დანდობა არ იცის, საერთოდ არ იცავს პლურალისტურ წესებს ოჯახში. ამ ინგა გრიგოლიამ ხომ საერთოდ გააგიჟა, მიიწვევს ხოლმე სტუდიაში და კულისებში ეუბნება, ამ ქვეყანაში ყველაზე ჭკუიანები მე და შენა ვართო, ქალებიც ჩვენა გვქვიან და "კასინკებიც" თავზე გვაქ წაკრულიო. ამას წინებზე "ჭუტავიზიიდან" დაურეკეს, შენი ცოლი, ინგა გრიგოლია და ნოდა-



რა მელაძე ოთახში ჩაიკეტდნენ და საათნახევარი კრიახობდნენო. ვა, კრიახობდნენ რა, ქათმები არიანო? იმან, იმ "ჩამშვებმა" მიუგო, რავი, რაღაც უცნაური ხმები გამოდიოდა, ხან კრიახობდნენ, ხან კიდე ყროყინობდნენო.

გიგამ სავარძლიდან წამოიწია, სამზარეულო ოთახს ცერად გაჰხედა, ქალბატონი ჩერგო უკვე წასულიყო. თითქოს ესაიამოვნა, ეხლა მარტო ყოფნა და საკუთარ აზრებში ჩაღრმავება უფრო უნდოდა. ყავას მოადუღებს, შოკოლადს დაითრევს, დივანზე წამოკოტრიალდება და მიხედავს დიად იდეებს, დასახავს გეგმას, როგორ უნდა გადარჩეს ქვეყანა უახლოესი თვეების განმავლობაში. ვინ გადაარჩენს? ყველა გენიოსობას იბრალებს, ყველას აღმაშენებლობაზე უჭირავს თვალი, მაგრამ მაინც არაფერი გამოსდით, აღმაშენებლობა ეგეთი იოლია? არ არის იოლი. თუმცა რაღა დროს აღმაშენებელია? მას შემდეგ 800 წელიწადზე მეტი გავიდა, ისევ უკან ვიყურებით, წინ ვერ წავიწიეთ. ო, მაი გააად!

უცებ ტელეფონმა იწყო რეკვა. გიგა წამოდგა, მაგიდისკენ გაეშურა მძიმე ნაბიჯებით, პროფესორებმა რომ იციან ხოლმე, ისე. სანამ მაგიდასთან მივიდოდა და ტელეფონს დასწვდებოდა, გალაქულმა პარკეტმა იწყო დრეკვა.

- ალიოოოოო, ჭეშმარიტი პოლიტიკოსი გიგა ბოკერია გისმენთ, – თქვა ამაყად გიგამ და თავი გააქიცინა.

- გიგა, გიგი ვარ, ბიჭო! – გაისმა აქოშინებული ხმა მეორე მხრიდან.

- აბა გიგი? – ჩაიხითხითა გიგამ.

- მეღადავები?! – აღმუვლდა გიგი.

- ჰო, კაი, რა ხდება, აღელვებული ხმა რატომ გაქვს?

- აღელვებული კი არა, აღშფოთებული ვარ... გადაღშფოთებული ვარ!

- ვააა, მართლა, ტო?

- გინდა, ეხლა ვიყმუვლო?!

- მაიცა, არ გინდა, აქციებზე რომ ყმუიხარ ხოლმე, ეგეც გვეყოფა.

- ისე, ხომ მაგრად ვყმუივარ ხოლმე?

- რა თქმა უნდა, შენისთანა მოყმუილე ორი-სამი კიდე რომ გვყავდეს, ეს ხელისუფლება გაქცეული იქნებოდა.

- მე ეგრე ყმუილი ციხეში ვისწავლე, მელიამ მომწერა, მეც ვსწავლობო, რურუაზე იძახიან, ყმუის, მაგრამ წვრილი ხმა აქვსო.

- წვრილიო?

- ჰო, მაგას ისედაც დეფექტი ჰქონდა ლაპარაკში.

- ეხლა რაზე ხარ გადაღშფოთებული?

- ხვალ აქციას რომ ვმართავთ, ხო იცი?

- ვიცი, მანქნებით უნდა ჩავიაროთ რუსთაველზე.

- ჰოდა, ეხლა სერგი კაპანაძე ატყდა, დაუპიპინებლად უნდა ჩავიაროთო.

- ვა, რათა? – გიგას ნერვიულობა დაეტყო, ისევ დაეწყო თავის ქიცინი.

- რათა და... დიდი კაცი რო იყო ჩამოსული და პირობა მივეცით, მოლაპარაკების მაგიდასთან დავსხდებითო, პიპინით მაგას გავაღიზიანებთო.

- კი არის სერგის მოსაზრებაში ლოგიკური მიმდინარეობა, კოგნიტური პროცესი, მაგრამ მისი თვალსაჩინო ინფორმაცია ხარვეზიანი და არასრულია. საერთოდ, სერგის აზროვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია გაგების მოთხოვნილება, რომელიც განპირობებულია რაიმე ამოცანასთან დაკავშირებული გაურკვევლობის შემცირების შინაგანი მოთხოვნილებით, გასაგებია?

- მეც მაგას ვიძახი, ბოლო დროს რაღაც უცნაური მოთხოვნილებები აქვს, ამ ჩემისას!

- კაკი ბობოხიძე რას ამბობს?

- კაკი აცხადებს, მარტო პიპინი არ კმარაო, მაუზერიც უნდა გავარდესო.

- ჰო, მაგას წლებია უკვე მოტივაციურ-ემოციური დაავადება აწუხებს, ხელში მუდმივად გახსნილი ყუმბარა უჭირავს, მაგრამ ეს მხოლოდ ილუზიაა, ჰალუცინაციაა, სინამდვილეში მას საკუთარი ყვერი უჭირავს.

- ნამდვილი ყვერი, კაცო?

- რა თქმა უნდა, ნამდვილი... სხვათა შორის, ეგ პერიოდი მეც გავიარე, ძალიან მტკივნეულია, წარმოიდგინე, პოლიტიკური სიტუაცია რომ დაიძაბება და შესაბამისად საკუთარ ყვერს მოუჭერ.

- რო არ მოუჭირო და უბრალოდ იჩუკენო?

- ეგ ჰასაკზეა დამოკიდებული, კაკი ვეღარ იჩუკენებს, აკი თქვა ამას წინებზე ტელევიზორში, რევოლუციის ტრაკი აღარ მაქვს, მომავალი თაობა მოვა და თოფს ჩემ მაგივრად გაისვრისო.

- რავი, მე სულ ვჩუკენობ და კაი რამეა, ჩემმა მზემ.

– შენ კარგად გაქვს დამუღამებული ანალიზის ოპერაცია, რომელიც საშუალებას გაძლევს, აღქმული მთლიანი მოვლენიდან სხვადასხვა მხარე გამოყო. ამიტომაც შეგიძლია, ერთმანეთის მიყოლებით იღმუვლო, იყროყინო, იღრიალო და იცინო კიდევაც. ეს კი გულისხმობს ამოცანის ცალკეულ ნაწილად დაშლას და მის შემადგენელ ელემენტებზე მსჯელობის უნარს. მოკლედ, ეს ძალიან ვრცელი თემაა, შორს წაგვიყვანს.

- წაგვიყვანოს, რა პრობლემაა?

- ეეეჰ, შენი გული გრილია! – გაღიზიანდა გიგა.

- არა, ჩემი გული ცხელია, არ არსებობს წამი, სამშობლოზე რომ არ ვფიქრობდე!

- არ გამოგვივლი?

- კი, რა თქმა უნდა, აპრილის თეზისებს დავასრულებ და მოვალ.

- აუ, უკვე აპრილის თეზისებზე მუშაობ?

- აბა, რა ვქნა? თქვენა, ძმაო, დღეგამოშვებით ციხეში ჰყრიხართ და ვინმემ ხომ უნდა იმუშაოს გონებრივად?!

- კარგი, ჰო, საწყენად არ გითხარი... ესე იგი, ხვალ რა ვქნათ, რუსთაველზე რომ ჩავივლით, დავაპიპინოთ?

- აი, რა ხანსაც მე და შენ ვბაასობდით, პარალელურად გონებამ მიკარნახა, რომ არ უნდა დავაპიპინოთ, რადგან შესაძლებელია, ჩვენი უცხოელი პარტნიორები მართლა დაფრთხნენ და გადაირივნონ. მოდი, ამ ეტაპზე, ერთხელ მაინც დავუჯეროთ სერგი კაპანაძეს. მართალია, მაგას ვეებერთელა თავი მარტო ბალიშზე დასადებად უნდა, მაგრამ მაინც კოლეგად ითვლება, ჯანდაბას, ამ ერთხელ ნუ დავაპიპინებთ.

- კარგი, ძმაო, რაკი შენც ამ აზრზე ხარ, მე თავს ვალდებულად ვთვლი, აღარ გადავშფოთდე.

- ჰო, ისევ გადმოშფოთდი და ცოლებს მიხედე... ეხლა მერამდენე გყავს?

- რავი, აღარ ვითვლი... ეს ბოლოც მაგარი მასტია, ერთი კვირაა მეხვეწება, საფრანგეთში წამიყვანე, დუნდულები ჩამამაჭერიო.

– შენი ბრალია... ჯერ ერთი, სხვებს რომ ჩამააჭერი, ეხლა ყველას უნდა და მეორეც – მაიყვანე ჩემსავით იმნაირი, ჩამოჭრა არ უნდოდეს.

გიგამ ტელეფონი გათიშა, დივანზე გადაწვა და ღრმად ამოიხვნეშა. სახეზე დაეწერა: "ახ, დედიჯან, ამდენი დებილი საიდან გაჩნდა"?! ჰმ... ხვალ რომ არ დავაპიპინოთ და ზეგ დავაპიპინოთ, ვითომ რა მოხდება? არც არაფერი! ისე, კაცმა რომ თქვას, პრინციპის ამბავია, ნორმალურმა ადამიანმა დიდთავა სერგის ჭკუაზე რანაირად უნდა გაიაროს? დავაპიპინებთ? არ დავაპიპინებთ? საკითხავი, აი, ეს არის!

ნოველა რეალურ ფაქტებზე
დაყრდნობით დაწერა

გელა ზედელაშვილმა
555 48 48 61

„ვერ გავჩუმდები, ვიდრე ტერორიზმი რელიგიას არის ამოფარებული

მსოფლიოში პოლიტიკური სურათი სწრაფად, ელვისებურად იცვლება. პოლიტიკოსების გაუფრთხილებელმა ნაბიჯმა, ადვილი შესაძლებელია, ახალი მსოფლიო ომიც კი გამოიწვიოს. ცალკეული ომები — ცივი, სავაჭრო, ახლა კი ვაქცინების, უკვე მიმდინარეობს. ერთ-ერთ ცხელ წერტილად კვლავ რჩება ახლო აღმოსავლეთის რეგიონი. ამერიკის შეერთებული შტატების მიერ სირიაში ორი კვირის წინ განხორციელებული საჰაერო შეტევის შემდეგ ერაყის ხელისუფლება შეშფოთებული აცხადებდა, რომ თუ აშშ კვლავ გააგრძელებს რეგიონში საბრძოლო მოქმედებებს, ამან, შესაძლებელია, ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ ხელახლა აღდგენა-გაძლიერება გამოიწვიოს.

მშვიდობის დამყარებას ემსახურებოდა რომის პაპის, ფრანცისკის ისტორიული ვიზიტი ერაყში, რომელიც გასულ კვირას განახორციელა. პანდემიის მძვინვარების მიუხედავად, რომის პაპმა ერაყში ჩასვლა დაჟინებით მოითხოვა და შეასრულა კიდეც. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ პანდემიის დაწყების შემდეგ რომის პაპის ერაყში პირველი ოფიციალური ვიზიტი გახლდათ, რომელიც უპრეცედენტოდ შეაფასეს მსოფლიოს პოლიტოლოგებმა. ერაყელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საპატიო სტუმარს გრანდიოზული დახვედრა მოუწყვეს, როგორც ქვეყნის ხელისუფლებამ, ასევე მოსახლეობამ. რომის პაპის კორტეჟს ხალხი დროშებით და ოვაციებით შეეგება.

სამდღიანი ვიზიტი ფრანცისკემ ერაყის დედაქალაქიდან დაიწყო. სტუმარს ბაღდადში ხელისუფლების ყველა პირველმა პირმა უმასპინძლა. პრეზიდენტ ბალჰამ სალეხის განცადებით, ქვეყანა გააგრძელებს ქრისტიანული მრევლის მხარდაჭერას, მიესალმება რელიგიათა შორის დიალოგის დაწყებას. ერაყის პრეზიდენტი ყოვლად დაუშვებლად მიიჩნევს რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირებებს და მით უფრო, ომებს.

მთავარი მოვლენა, რომელიც მართლაც ისტორიული გახლდათ, იყო რომის პაპის და ერაყის, ასევე შიიტების სულიერი ლიდერის აიათოლა ალი ალ სისანის შეხვედრა. რომლის მსგავსი ათასწლეულის მანძილზე მსოფლიოს ისტორიაში ჯერ არ ყოფილა. აიათოლა ის ერთ-ერთი რელიგიური მოღვაწეა, რომელმაც პირველმა გაილაშქრა ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ. მოლა-პარაკებას სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ერაყის სულიერი ლიდერის თქმით, დაუშვებელია სარწმუნოებებს შორის შეიარაღებული დაპირისპირება. მისივე თქმით, ყოვლად მიუღებელია, როდესაც რელიგიას ხალხის დაპირისპირებისთვის იყენებენ. თავის მხრივ რომის პაპმა განაცხადა: „... ვერ გავჩუმდები, ვიდრე ტერორიზმი რელიგიას არის ამოფარებული“. მასპინძლებმა სტუმარი დაარწმუნეს, რომ ერაყში ნებისმიერი რელიგიური კონფესიის წარმომადგენლები, განსაკუთრებით ქრისტიანებს ქვეყანაში არავინ შეავიწროვებს, ტრადიციულ მშვიდობიან თანაცხოვრებას გააგრძელებენ. სტატისტიკურ მონაცემებს, რომლის მიხედვითაც ქრისტიანული მოსახლეობა ერაყში ბოლო 15 წლის განმავლობაში 90%-ით არის შემცირებული, ხელისუფლება ომს მიაწერს და არა რელიგიურ დაპირისპირებას.

კვლავ გრძელდება პოლიტიკური კრიზისი ჩვენს მეზობელ სომხეთში. ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ნიკოლ პაშინიანის გადადგომის მოთხოვნით გამოსვლები უკვე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. გასულ კვირას პაშინიანი პარლამენტში მივიდა, სადაც ცხარე დებატები გაიმართა. შინაგან საქმეთა სამინისტრო პროვოკაციებს ელოდებოდა, ამიტომ უსაფრთხოების ზომები გამკაცრებული იყო. საბედნიეროდ, არ გამართლდა მათი მოლოდინი, ექსცესებს ადგილი არ ჰქონია. პაშინიანი თანხმდება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებაზე იმ პირობით, თუ სამართლიანად გაიმართება. რას გულისხმობს სამართლიან არჩევნებში, უცნობია. პაშინიანი ასევე თანხმდება საკონსტიტუციო ცვლილებებზე — ქვეყანა საპარლამენტოდან გადავიდეს ნახევრად საპრეზიდენტო მმართველობაზე. პრეზიდენტი არმენ სარქისიანი ოპოზიციური პარტიების ლიდერებს შეხვდა, მაგრამ საუბრის თემა უცნობია. ჯერ კიდევ გაურკვეველია პაშინიანთან დაპირისპირებული გენერალური შტაბის ხელმძღვანელების ბედი. ვნახოთ, როდის და რითი დასრულდება მეზობელ სომხეთში არსებული პოლიტიკური კრიზისი.

9 საათზე მეტი დრო დასჭირდა აშშ-ის სენატში „გადარჩენის გეგმის“ განხილვას და დამტკიცებას. რესპუბლიკური პარტიის წევრებს 30-მდე შესწორების შეტანა სურდათ კანონში, მაგრამ დემოკრატიული პარტიის წევრებმა რესპუბლიკელების აზრი არ გაითვალისწინეს. კანონს მხარი 50-მა სენატორმა დაუჭირა, 49 წინააღმდეგი იყო. ასეთია სენატში რესპუბლიკელებისა და დემოკრატების ძალთა თანაფარდობა. მიღებული კანონის მიხედვით, აშშ-ის ხაზინა ქვეყნის ეკონომიკის დასახმარებლად დამატებით 2 ტრილიონ (!) დოლარს გამოყოფს. ეკონომიკის საკითხებზე მომუშავე ექსპერტები შიშობენ, ასეთი დიდი რაოდენობის ფულის მასამ, შესაძლოა, ცალკეული ქვეყნების ეროვნული ვალუტის დევალვაცია გამოიწვიოს. არ გამორიცხავენ სავალუტო ბაზარზე მკვეთრ რყევებს.

უცნაური მოვლენა მოხდა გასულ კვირას აშშ-ის კონგრესში. დემოკრატებმა თავიანთ ფლიგელში დემონსტრაციულად ტრანსგენდერების დროშა გამოკიდეს. რესპუბლიკელებმა საპასუხოდ გააკრეს პლაკატი წარწერით: „სამყაროში არსებობს მხოლოდ ორი სქესი“. დემოკრატების მტკიცებით, ტრანსგენდერობა თანამედროვეობას, ახალგაზრდულ მიმდინარეობას ნიშნავს. კომუნისტებს ხელისუფლებაში ყოფნისას „უკლასო საზოგადოების“ აშენება სურდათ. დემოკრატებს, სავარაუდოდ, „უსქესო საზოგადოების“ დამკვიდრება აქვთ გადაწყვეტილი.

ახალი სამოქმედო გეგმა გამოაცხადა პრეზიდენტ ჯო ბაიდენის ადმინისტრაციამ. სახელმწიფო მდივნის ენტონი ბლინკენის განცხადებით, მისი ქვეყნის ადმინისტრაცია უარს ამბობს, ნებისმიერ უცხო სახელმწიფოში ხელისუფლების ძალისმიერი მეთოდით შეცვლაზე, უცხო ქვეყნებში საომარ მოქმედებებზე. მსგავსი კონცეფცია რამდენიმე წლის წინ, უფრო ზუსტად, ინაუგურაციის შემდეგ პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა შეიმუშავა. განახორციელა კიდეც — მხოლოდ ორჯერ ზედაპირული შეტევა განახორციელა სირიაში, შარშან იანვარში ერაყში ირანელი გენერალი მოკლეს. მხოლოდ ეს იყო ტრამპის ადმინისტრაციის საბრძოლო მოქმედებები. სავარაუდოდ, ტრამპის ყველა იდეაზე ბაიდენი უარს არ იტყვის, მაგრამ ბევრი რამ შეიცვლება.

ქვეყნის ძირითად მტრებად ბაიდენის ადმინისტრაცია რუსეთს და ჩინეთს ასახელებს. ამასთან, ჩინეთს, როგორც ეკონომიკურად მზარდ და ძლიერ, ხოლო რუსეთს თანამედროვე სამხედრო შეიარაღების მქონე ქვეყნებად მიიჩნევს. თუმცა, სტრატეგიული ბალანსის დაცვისთვის სწორედ მათ თვლიან მთავარ პარტნიორებად, რომლებთანაც დიალოგს აუცილებელ პირობად მიიჩნევენ. ამ თემაზე გაამახვილა ყურადღება ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორობის კანდიდატმა უილიამ ბიორნსმა სენატში მოსმენისას. წლების მანძილზე იგი რუსეთში აშშ-ის ელჩად მუშაობდა. მისი თქმით: „... არ შეიძლება რუსეთი სუსტ სახელმწიფოდ აღვიქვათ... ფრთხილად და ფხიზლად უნდა მივუდგეთ რუსეთთან და ჩინეთთან ურთიერთობას“.

ამერიკულ პრესაში გასულ კვირას გამოაქვეყნეს მოძრაობა „შავების სიცოცხლე მნიშვნელოვანიას“ შარშანდელი ფინანსური შემოსავლები. აღმოჩნდა, რომ 6 თვეში შავკანიანთა ე.წ. უფლებადამცველებს 90 მილიონი დოლარი აქვთ მიღებული. გაირკვა ისიც, რომ მათ, ძირითადად, ინტერნეტგიგანტები აფინანსებდნენ. შავების მიერ დარბეულ-დანგრეულ ობიექტებზე ახლა არ ვისაუბრებთ. პოლიტოლოგები შეშფოთებით აცხადებენ, რომ უზომო შემწყნარებლობა ნაციზმის, იგივე ფაშიზმის ახალი სახით აღდგენას უწყობს ხელს, რაც, სამწუხაროდ, უკვე შეინიშნება მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებშიც. უმცირესობის წარმომადგენლები ცდილობენ თავიანთი დიქტატურის დამყარებას, ყოველგვარ კანონსა და სამართალს უგულვებელყოფენო, აცხადებენ ექსპერტები.

დიდი ბრიტანეთის სამეფო ოჯახი კვლავ მოექცა მსოფლიოს საზოგადოების ყურადღების ცენტრში. მიზეზი პრინც ჰარისა და მისი მეუღლის მეგან მარკლის სკანდალური, გულახდილი ინტერვიუ გახდა, რომელიც ორშაბათს აშშ-ის და ბრიტანეთის პრესაში გამოქვეყნდა. მათი საუბარი მოსალოდნელზე სკანდალური აღმოჩნდა. ორსაათიანი ჩანაწერის, ფაქტობრივად, ბლოკბასტერის გაცნობა უცებ ძნელია. მეგანის თქმით, იგი ბუკინგემის სასახლეში თვითმკვლელობაზე ფიქრობდა. მისი მტკიცებით, სამეფო ოჯახში შიშობდნენ, რომ ჩვენი შვილი მუქკანიანი გამოვიდოდა, ამის გამო მავიწროებდნენო. ჰარის თქმით, ბრიტანეთი მისთვის ტოქსიკურია. შეგახსენებთ, დედოფალ ელიზაბეთ II-ის საყვარელი შვილიშვილი ჰარი მეუღლესთან ერთად აშშ-ში გადავიდა საცხოვრებლად, უარი თქვა პრივილეგიებზე... რა გაგრძელება მოჰყვება სკანდალურ ინტერვიუს, ძნელია თქმა, რადგან ბუკინგემის სასახლიდან მსგავსი ინფორმაციები ასწლეულებია არ ვრცელდებოდა. მიმომხილველების თქმით, მსგავსი ინტერვიუს გამავრცელებლები ცხოვრებას ცუდად ამთავრებენ. აშშ-ში რასიზმის წინააღმდეგ მებრძოლები უკვე ალაპარაკდნენ, რომ „პრობლემა მეგანის ამერიკელობა კი არა, მისი კანის ფერია“. დაველოდოთ, სკანდალი მალე და მარტივად არ დასრულდება.

საფრანგეთის ყოფილ პრეზიდენტს სასამართლომ 3 წლით პატიმრობა მიუსაჯა — აქედან 2 წლით პირობითი, 1 წელი — შინაპატიმრობა. მიზეზი მოსამართლის მოსყიდვის მცდელობა გახდა, ჯერ კიდევ 2007 წელს... გამოდის, რომ პოლიტიკოსის, მით უფრო პრეზიდენტის გასამართლება ევროპაში შეიძლება. ჩვენ რატომღა გვეკრძალება კრიმინალების, ქვეყნის გამყიდველებისა და დამაქცევრების დასჯა?

გია ბურდული
551 71 27 07

ქართულ-ებრაული საგა

თანამედროვეობის ერთი გონიერი მემატიანის თქმით — „ისტორია ფაქტებს უნდა ეყრდნობოდეს და დაიწეროს ის, რაც იყო, და არა ის, რაც გვინდოდა, რომ ყოფილიყო. სათქმელად ერთობ იოლია, თუმც შესასრულებლად ძალზე ძნელი“. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, აღმოსავლეთმცოდნე ლილი ბააზოვმა, ოც წელზე მეტი მოანდომა ჩვენი ქვეყნის არქივებსა და წიგნთსაცავებში მუშაობას და პირუთვნელად აღწერა საქართველოში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა ამბავი, ანუ შეეცადა გადმოეცა ის, „რაც იყო და როგორც იყო“ ნაშრომში, სახელწოდებით, „ებრაელები საქართველოში“. ამ საკითხზე წიგნის შექმნის იდეა მას, უცილობლად, მრავალტანჯული წინაპრების ძახილმა შთააგონა. მეცნიერული კეთილსინდისიერებით განმსჭვალულმა მკვლევარმა, ორნაწილიან, ვრცელ მონოგრაფიაში, 820 გვერდზე ებრაელთა საქართველოში მოსვლის, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში განსახლების, ქართველებთან ხანგრძლივი თანაცხოვრების რეალური სურათი დაგვიხატა და სპეციალისტებსა და საკითხით დაინტერესებულ პირებს

საკუთარი მოსაზრებები თამამად და შეულამაზებლად გაგვიზიარა.

თბილისის გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის გრიფით მონოგრაფია მოსკოვის გამომცემლობა „გალაქტიკაში“, რუსულ ენაზე დაიბეჭდა. ნაშრომით უმალ დაინტერესდა მკითხველი საზოგადოება და მას არაერთი გამოხმაურება მოჰყვა. პრეზენტაცია ისრაელში, ბათ იამის ეშკოლ პაისის შენობის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა, სადაც ცნობილი მეცნიერები და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეები შეიკრიბნენ. აღინიშნა ლილი ბაზოვის მიერ შესრულებული დიდი მოცულობის სამუშაოს მნიშვნელობა ქართულ-ებრაული კავშირების შემდგომი გაღრმავებისა და განვითარების, ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული ურთიერთობის მასშტაბურად წარმოსაჩენად.

მონოგრაფია ყურადღებას იქცევს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ბინადარ ებრაელთა ისტორიის ორიგინალური გააზრებით, რამაც დიდად განაპირობა საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრების ნაშრომით დაინტერესება. გამოცემიდან სულ მალე წიგნმა „ებრაელები საქართველოში“ ევროპისა და ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებსა და ბიბლიოთეკებში დაიდო ბინა.

მონოგრაფიაზე მუშაობის დაწყებას წინ უძღოდა ლილი ბაზოვის ხანგრძლივი სამეცნიერო-შემოქმედებითი და მთარგმნელობითი საქმიანობა. საქართველოს შუა და ახლო აღმოსავლეთთან ურთიერთობის თვალსაჩინო სპეციალისტის, ცნობილი მედიავისტის, პროფესორ ვალერიან გაბაშვილის სამეცნიერო კვლევის მიმართულებისა და მეთოდოლოგიის აპოლოგეტმა, მან გამოავლინა და გამოწლილვით გაანალიზა მე-19 საუკუნის ქართულ პრესაში გაშუქებული ავღანეთის ისტორიის საკითხები და თავის სადისერტაციო ნაშრომში საყურადღებო მოსაზრებები ჩამოაყალიბა.

აღმოსავლეთმცოდნე ლილი ბაზოვის შემოქმედებითი მოღვაწეობის საგულისხმო წახნაგია მისი მთარგმნელობითი საქმიანობა. ქალბატონი ლილი სიღრმისეულად ფლობს რუსულ სალიტერატურო ენას და წარმატებით თარგმნის ქართულიდან და ებრაულიდან (ივრითი). უნდა აღინიშნოს მის მიერ შესრულებული ჩინებული მწერლის, ოთარ ჩხეიძის „ლანდების“ თარგმანი (**Москва, «Советский писатель»**, 1975) და საბჭოთა რეჟიმის მიერ რეპრესირებული მეცნიერის, გამომგონებლისა და მწერლის, გრიგორი (ცვი) პრეიგერზონის მოთხრობების კრებულის, „სახელის ტვირთის“ ებრაულიდან (ივრითი) შესრულებული რუსული თარგმანი, რომელიც ლილი ბაა-



ზოვმა ისრაელში ასვლის პერიოდში განახორციელა. 2002 წელს, მოსკოვში, ევროპის კულტურის ცენტრში, გრიგორი (ცვი) პრეიგერზონისა და მისი წიგნის ივრითიდან ლილი ბაზოვისეული თარგმანის გამოცემას კონფერენცია მიეძღვნა. მრავალმხრივ განსწავლული მთარგმნელის ნამუშევარმა დამსწრე საზოგადოების მაღალი შეფასება დაიმსახურა. ხაზი გაესვა, რომ პრეიგერზონის მიერ ებრაელთა ცხოვრების სიღრმისეული ცოდნა და ადამიანის ხასიათის ნიუანსებში წვდომის უნარი სრულად შენარჩუნდა ტექსტის ახალ ენობრივ სივრცეში გადატანისას; დედნისეული ხიბლი, მოთხრობების მხატვრულ-ესთეტიკური და შემეცნებითი მხარეები მთარგმნელმა ოსტატურად წარმოაჩინა.

შემთხვევითი არ არის, რომ ლილი ბაზოვის თხრობის სტილი და მანერა, ამა თუ იმ პრობლემის მაღალმეცნიერულ ხედვასთან ერთად, ავტორის მწერლურ ნიჭსა და მთარგმნელობით გამოცდილებაზე მეტყველებს. მკვლევარი ნათლად და გასაგებად განიხილავს სადავო საკითხებს, რომლებიც ხშირად ებრაული სამყაროს სპეციალისტების ცხარე დებატების საგანია. ამდენად, მშრალი მეცნიერული თხრობის ნაცვლად, ჩვენ ხელთაა სამეცნიერო-პოპულარული ჟანრისადმი ერთგულებით დაწერილი ნაშრომი, რომელიც ხშირად მოულოდნელობის ეფექტს ახდენს მკითხველზე და მარჯვედ დაწერილი დეტექტივივით, შეუნელებელი ინტერესით იკითხება.

მონოგრაფიით „ებრაელები საქართველოში — ნარკვევები სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-რელიგიური ისტორიიდან“ ლილი ბაზოვი გვთავაზობს ებრაელთა საქართველოში ბინადრობისა და მათი სულიერი ყოფის მეცნიერულ ინტერპრეტაციას. ავტორი ზოგჯერ საზოგადოებაში მყარად დამკვიდრებულ მოსაზრებებს ემიჯნება და სარწმუნო ფაქტებზე აპელირებით, სერიოზულ ოპონირებას უწევს ანალოგიურ საკითხებზე შექმნილ ნაშრომთა ავტორებს.

ებრაელობა ელინისტურ ხანაში, ხასიდები და ქრისტიანობა, მაჰმადიანთა დაპყრობითი ომები და ებრაული თემები, ანტისემიტიზმი და ბოლშევიკური რეჟიმის დანაშაულებრივი ქმედებები ვრცლად არის მონოგრაფიაში განფენილი. ავტორს არც უახლესი ისტორიის საგულისხმო მომენტები ავიწყდება და საბჭოთა სისტემის მსახურთა ბნელ კაბინეტებში, ყოველგვარ საღ განსჯას მოკლებულ, ადამიანის უფლებათა ხელყოფისა და თავისუფალი აზრისა და ნების გულაგებში გამომწყვდევის ფაქტებს კიდევ ერთხელ შეგვახსენებს. საბჭოთა რეჟიმის მსახურთა სასტიკი, ყოვლად გაუმართლებელი პოლიტიკა უშუალოდ ლილი ბაზოვის ოჯახის წევრებსაც შეეხო: ლილის პაპა, დავით ბაზოვი დაიჭირეს და ციმბირში უკრეს თავი, ბიძა, გერცელ ბაზოვი 1938 წელს დახვრიტეს, მამა იურისტის საქმიანობას მოწყვიტეს და, ოჯახის ერთადერთი მარჩენალი ათი წლით გულაგში გაისტუმრეს, მისი სწავლას მოწყურებული არასრულწლოვანი შვილები კი ულუკმაპუროდ დატოვეს. დავით ბაზოვის მონაგარი დღემდე იშუშებს სისასტიკისა და განუკითხაობის იარებს.

წიგნი საქართველოში მცხოვრებ ებრაელებზე ლილი ბაზოვმა მშობლების, სარა და ხაიმ ბაზოვების ხსოვნას მიუძღვნა. მან ებრაელების ქართველებთან მრავალსაუკონოვანი თანაარსებობის კონტექსტში წარმოაჩინა თავისი პაპის, ცხინვალელი ხახამის ოჯახში დაბადებული და აღზრდილი, ისტორიულ პიროვნებად ჩამოყალიბებული, საქართველოში სიონისტური მოძრაობის ლიდერის, სასულიერო მოღვაწის რაბინ დავით ბაზოვის (ბაზაშვილის) თავდადებული, უანგარო სამსახური „ეროვნული ცხოვრებისთვის ხალხის მოსამზადებლად“, ქართველ ებრაელთა იდენტობის დასაცავად; ებრაელი პატრიოტის თავგანწირული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ბრძოლა თანამოძმეთა „აღთქმულ მიწაზე“ დასაბრუნებლად. საუკუნეების წიაღში წარმოქნილი პრობლემების ანალიზის ფონზე, წიგნის ავტორი ფაქიზად ეხება ებრაელი ხალხის სულიერი ყოფის სტრუქტურას. ყოველივეს, რაც მან თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე გენეტიკურად შეისისხლხორცა და მეცნიერულად გაიაზრა.

1913 წელს, ფრანკფურტში, სიონისტების კონგრესზე ლილი ბაზოვის პაპის ცნობილი გამოსვლა, სხვა ფაქტორებთან ერთად, ყურადღებას იქცევს, უპირველეს ყოვლისა, ქართულ-ებრაული ურთიერთობის ხედვის თვალსაზრისი თ. დამსწრე საზოგადოების გასაოცრად, დავით ბაზოვმა კონგრესის მონაწილეებს აუწყა: „ძმებო, მე იმ ქვეყნიდან ჩამოვედი, სადაც ებრაელობა 2500 წელია ცხოვრობს. ეს ქვეყანა შორეულ კავ-

კასიაშია. მას საქართველო ჰქვია. ეს ის ქვეყანაა, სადაც არასოდეს ყოფილა ებრაელთა რბევა, მის შვილებს არასოდეს აუწიოკებიათ ჩემი ხალხი... ტკბილად და ძმურად ვცხოვრობთ...“

ფრანკფურტის წარმომადგენლობით ფორუმზე ქართველთა შემწყნარებლობის დეკლარირებას წინ უძღოდა დავით ბაზოვის მრავალწლიანი დაკვირვება და ებრაელთა საქართველოში ცხოვრების ისტორიული გამოცდილების ყოვლისმომცველი ანალიზი. მის სიტყვაში იმგვარმა ნიუანსებმა იჩენა თავი, რაც ამ ნათელ პიროვნებას თავისი ერის ჭეშმარიტ ქომაგად, შორსმჭვრეტელ და გამჭრიახ ეროვნულ მოღვაწედ, სულიერ მოძღვრად წარმოაჩენს.

ტოლერანტობა, ქართველი ერის ისტორიაში ცალკეულ ავადმოსაგონარ შემთხვევებს რომ დიდად გადაწონის, საუკუნეების მანძილზე ქართველი კაცს ხასიათის თვისებად ჩამოყალიბადა. სხვა ერებთან მშვიდობიანი თანაარსებობის, თვითგადარჩენის, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ერთგვარი ინსტრუმენტი, დიპლომატიური ხერხი, გნებავთ გენეტიკური ალგორითმი, რთულ გეოპოლიტიკურ სივრცეში, მაჰმადიანური ქვეყნების გარემოცვაში მოქცეული პატარა, ქრისტიანული ქვეყნისთვის თავდაცვის ერთგვარ საშუალებად იქცა. დავით აღმაშენებლის, ფეოდალური სახელმწიფოს დიდებული მესაჭის პრაგმატული მმართველობის პერიოდში, ქართველი ერის ტოლერანტული ბუნება, კავკასიაში მისი ფუნქციის განმსაზღვრელ პოსტულატადაც კი იქცა. ანგარიშგასაწევია ვალერიან გაბაშვილის მოსაზრება დავით აღმაშენებლის სახელმწიფო პოლიტიკის ამ ნიუანსზე. გამოცდილი მკვლევარი მრავლისმეტყველად დასძენს: „შემწყნარებლური პოლიტიკა ჰუმანურობის გარდა, უწინარეს ყოვლისა, ნაკარნახევი იყო იმით, რომ ქ.თბილისს შეენარჩუნებინა თავისი ოდინდელი მნიშვნელობა ახლო აღმოსავლეთის საერთაშორისო ვაჭრობაში“...

მონოგრაფიაში ლილი ბაზოვი ქართველებსა და საქართველოში შემოსულ ებრაელთა ურთიერთობის პანორამულ სურათს ხატავს და ახლო აღმოსავლეთის, კავკასიის, ევროპის ქვეყნების ისტორიის საკვანძო პრობლემების აქცენტირებით, გვიჩვენებს, რაოდენ შეესაბამებოდა რეალურ ვითარებას მისი სახელოვანი პაპის მიერ ებრაელი ხალხის კონგრესზე გაკეთებული განცხადება. რამდენად უწყობდა ხელს ამა თუ იმ ეპოქაში ჩამოყალიბებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარება ქართველი და ებრაელი ხალხების თანაცხოვრებას, რომელ რეგიონებში, რა პერიოდულობითა და რამდენად პოზიტიურ ხასიათს ატარებდა ეს კავშირები.

მკვლევარი პირუთვნელად აღწერს ებრაელებსა და ქართველებს, ჩვენი ქვეყნის ხანგრძლივი ისტორიის სხვადასხვა ეტაპებზე შემოსული ერებისა თუ ეთნიკური ჯგუფების ცხოვრების წესს, ახასიათებს სოციალურ გარემოსა და პოლიტიკურ სისტემათა ცვლილებებს, ფაქტორებს, რომლებიც ზოგჯერ მშვიდობიან ურთიერთობებს სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა. მსგავსი შემთხვევების სკრუპულოზური ანალიზის ფონზე, ლილი ბაზოვი, ისტორიზმის პრინციპს ერთგულებით, საგულისხმო პარალელებს ავლებს და სათანადო წიაღსვლებით, ცალკეული პირებისა თუ დაჯგუფებების კონკრეტულ ვითარებებში, მაგ. ბატონყმობის პირობებში, წარმოქმნილ წინააღმდეგობათა სოციალურ არსსა და ბუნებას ახასიათებს. აღნიშნული საკითხი, მსგავს რაკურსში, ლილი ბაზოვმა თავის ადრეულ სტატიებშიც გააშუქა. მის მიერ გაკეთებული თამამი „სვლები“ ყურადღების გარეშე არ დარჩენია ცნობილ მეცნიერსა და ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეს გურამ მამულიას. 1989 წელს, ჟურნალ «**Литературная Грузиа**» -ს ივნისის ნომერში გაცნობია იგი ქართველ ებრელთა შესახებ ლილი ბაზოვის სტატიას და რეცენზიაც გამოუქვეყნებია, რომელშიც შესწავლილ და გაანალიზებულ ფაქტებსა და მოვლენებზე, მკვლევრის შეფასებებზე ამახვილებს ყურადღებას და საყურადღებო დასკვნას აკეთებს: „იმის გათვალისწინებით, რომ იმხანად რედკოლეგიაში ისეთი მძიმეწონიანი ფიგურები შედიოდნენ, როგორებიც იყვნენ ჭაბუა ამირეჯიბი და მარკ ზლატკინი, საუკეთესო შემთხვევაში, შესაძლოა მხოლოდ იმაზე ვილაპარაკოთ, რომ რაღაც ბოლომდე არ ითქვა და არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს რაღაც თავსმოხვეულ აზრებთან გვაქვს საქმე“. რეცენზენტს უყურადღებოდ არც ლილი ბაზოვის სტატიის ქვეტექსტები დარჩენია, სადაც ბევრი ისეთი რამ ამოუკითხავს, რომლის გახმიანება, მათზე ფართე მსჯელობა იმხანად არც ქართულ და არც ებრაულ საზოგადოებაში იყო მიზანშეწონილი.

რა საკითხებია, რასაც ისტორიკოსის ყურადღება მიუპყრია? როგორც რეცენზიის ავტორი შენიშნავს, ეს, უპირველეს ყოვლისა, „ბაზოვის მიერ გახმიანებული ისტორიული ხასიათის პრობლემებია, რომლებმაც, როგორც კი დღის სინათლე იხილეს, უმალვე უკუგდებულ იქნა და დავიწყებას მიეცა. ისინი გადიან ამ ხალხების მიერ მიღებული ისტორიოგრაფიული ჩარჩოებიდან. მათზე, უბრალოდ, დუმან, მათ შორის სამეცნიერო და რელიგიურ წრეებში“. აქვე

შევნიშნავ, რომ ლილი ბააზოვის მონოგრაფიაში ვრცლად არის წარმოჩენილი ისეთი საკითხები, რომლებიც მკვლევრის თვალს არ გამოპარვია და ობიექტურობის დასაცავად, მათი განხილვა საჭიროდ ჩაუთვლია.

„შორეულ წარსულს თუ გადავხედავთ, შეუძლებელია ვერ შევნიშნოთ, რომ ჩვენამდე დამახინჯებულად მოღწეულ უძველეს ისტორიულ გადმოცემებში, ზოგჯერ რეალური მოვლენების გამოძახილი გამოსჭვივის, რის გამოც ნამდვილი ამბები და ლეგენდები ერთმანეთს გადაეჯაჭვა და დროთა ვითარებაში ჭეშმარიტი ისტორიული ტრადიციის ხასიათი შეიძინა“, — შეგვახსენებს ლილი ბააზოვი. სწორედ იფქლიდან ღვარძლის გამორჩევას ემსახურება მისი შრომა, რომელიც კატეგორიულად ემიჯნება ისტორიული ფაქტების შელამაზებასა თუ გადაფარვას. კვლევის ამ მეთოდმა, შესაძლოა, ზოგჯერ კატეგორიულობის შთაბეჭდილება მოახდინოს მკითხველზე, რომ არა ავტორის მიერ უამრავ მტკიცებულებათა მოხმობა და ტიპოლოგიური ანალიზის გზით, თითოეულის დამაჯერებელი დასკვნებით შემაგრება. მაგ. ლილი ბააზოვისთვის მიუღებელია თვალსაზრისი, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, ლეგენდა, ქართველ ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის ბიბლიურ წარმომავლობაზე. მკვლევარი ამ საკითხს, სომხეთსა და საქართველოში შემოსულ ებრაელთა მიმართ ადგილობრივი მოსახლეობის ფსიქო-ემოციურ განწყობას უკავშირებს და დასძენს: „თავად ამ ტერიტორიაზე ებრაელი მოსახლეობის

არსებობის ფაქტმა სომხებს, ისევე როგორც, რამდენიმე საუკუნის შემდეგ ქართველებსაც საშუალება მისცა, თავისი სამეფო დინასტიის წარმომავლობის „ებრაული ვერსია“ აერჩიათ. ჩანს, შედარებით გვიანი პერიოდის ისტორიკოსებს „ქრისტიანობის მოახლოება“ დაეხმარა მიმხვდარიყვნენ, რაოდენ სასარგებლო პოლიტიკური შედეგები იმალებოდა იმხანად სამეფო დინასტიების დავითის სახლეულობიდან წარმომავლობის იდეაში“. გამოწლილვითი ანალიზის ფონზე, რომლის ვრცლად წარმოჩენა საგაზეთო ფორმატს სცდება, ნათელს ჰფენს, თუ რატომ არ არის თავსებადი მეცნიერულ მსჯელობასთან ჰიპოთეზა, ებრაელთა წინასწარმეტყველის, დავითისგან ქართული სამეფო დინასტიის წარმომავლობის შესახებ. ლილი ბააზოვის მონოგრაფიით დაინტერესებული მკითხველი, ამ საკითხზე მრავალ სარწმუნო ინფორმაციას გაეცნობა.

წიგნის ავტორი ფართედ შლის ებრაელების საქართველოში მოსვლის კვლევის არეალს, განიხილავს ელინისტური ეპოქის მოვლენებსა და ქრისტიანობის აღმოცენების ხელშემწყობ პირობებს, ზოგჯერ სანიმუშოდ მოჰყავს ცნობილ მკვლევართა ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებები და ამ ფონზე საკუთარ დასკვნებს სთავაზობს მკითხველს. მაგ. ერთგან ლილი ბააზოვი წერს: „ელინისტური მღვდლებისადმი ზიზღის გამო, უბრალო ხალხი თანდათან უფრო ხასიდებს (ებრაელ ღვთისმოსავებს) ემხრობოდა“.

თანმიმდევრული მსჯელობით მკვლევარი სარწმუნოს ხდის აკად. გიორგი მელიქიშვილის თვალსაზრისს ებრაელთა საქართველში მოსვლის თარიღზეც და დასძენს: „მელიქიშვილი ახლოს მივიდა საქართველოს ტერიტორიაზე ებრაელთა მოსვლის დროსთან. ეს ის პერიოდია, როდესაც ერეც ისრაელში ადგილი ჰქონდა მაკაბელთა წინააღმდეგ აჯანყებას ანტიოქ ეპიფანე IV-ის, სელევკიდების დინასტიის მეფის წინააღმდეგ (ჩვენ წელთაღრიცხვამდე 165–164 წლები)“.

ლილი ბააზოვი საინტერესოდ წარმოაჩენს სხვადასხვა ქვეყნებსა და, უპირველეს ყოვლისა, საქართველოში არსებულ ებრაულ თემთა ყოფას ისტორიული განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე და იძლევა კითხვებს: „სად არის საქართველოში მოსულ ებრაელთა სულიერი ცხოვრების მოწმობა? ებრაელთა მიერ აღწერილი, მათი სულიერი ცხოვრების სურათები? რა უშლიდა ხელს მათი სულიერი და კულტურული მემკვიდრეობის შექმნას, თუნდაც არამეულ ენაზე? ეს მათ ინტელექტუალურ ჩამორჩენილობაზე ხომ არ მეტყველებს?“ მეცნიერთა აზრი სხვადასხვა ქვეყნებში მოქმედ ებრაულ თემთა მიმართ გარკვეულია, კერძოდ ნათქვამია, რომ: „ისრაელის ებრაელთა თხზულებებმა ისრაელის მეორე ტაძრის პერიოდის დასაწყისიდან და მის საბოლოო დანგრევამდე, ასევე, ელინისტ ებრაელთა შემოქმედებამ დიასპორიდან ჩვენამდე მხოლოდ იმიტომ მოაღწია, რომ ამით ქრისტიანული ეკლესია იყო დაინტერესებული“, მაგრამ ქართველი ებრაელები? ამ კითხვებს ლილი ბააზოვი ასე პასუხობს: „ჩვენ ვიცით, რომ ისინი დასახლდნენ მცხეთასა და ურბნისში, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, როგორ ცხოვრობდნენ და რას საქმიანობდნენ. იმხანად ისრაელის ქვეყანაში მაკაბელთა ბრძოლა მიმდინარეობდა, ისტორიულ არენაზე კი, სადაც საქართველოში მოსული ებრაელები გამოვიდნენ, საოცარი დუმილი სუფევს. აქ მთავარი პერსონაჟია აბიათარი, ებრაელი სულიერი მოძღვარი და მასთან მოსაუბრე ვასპურაკანიდან! სწორედ ისინი მიუთითებენ ებრაელების საქართველოში შემოსვლის თარიღზე. მაგრამ თუ ასე არ არის? მაშ სად არის სარწმუნო და დამაჯერებელი წყაროები? ჯერჯერობით ისინი არ ჩანს, მაგრამ არის აბიათარი, ებრაელი მღვდელი, რომელმაც ისტორიული არჩევანი უნდა გააკეთოს: ის არა მარტო მოსულია, „ამ-ჰა-არეცის“ (წვრილი ერის, ქტ.) წარმომადგენელია, არამედ თემის სულიერი მოძღვარიცაა. მაგრამ ადგილობრივი გადმოცემით, ქართული ეკლესიის იერარქებმა აბიათარს ხომ ახალი პავლე უწოდეს... აღსანიშნავია, რომ ვერცერთ სხვა მოვლენაზე, რაც ქვეყანაში ხდება, ადგილობრივ ებრაელთა ვერავითარ რეაქციას ვერ ვხედავთ“.

ყურადღებას იქცევს საქართველოში მოსულ ებრაელთა ქრისტიანობისადმი დამოკიდებულების საკითხიც. ლილი ბააზოვი იმოწმებს ფაქტებს იმგვარი ვითარების საილუსტრაციოდ, როცა „ებრაელთა ერთი ჯგუფი მცხეთაში ნებაყოფლობით იღებს ქრისტიანობას და ყოფილი ებრაელი მღვდელი, აბიათარი, ეს ახლადგამოცხადებული პავლე, როგორც მას ხალხმა უწოდა, იმ ებრაელებისთვის, რომლებიც მოქცევას ეწინააღმდეგებიან, სანიმუშოდ მოჰყავთ“. თუმც, როგორც წიგნის ავტორი აზუსტებს: „გაჯიუტდნენ მამათა რწმენის ერთგული ებრაელები, ქვები შეაგროვეს და აბიათარის ჩასაქოლად გაემართნენ. მათთვის მიუღებელია ახალი მოძღვრება და მტკიცედ დგანან საკუთარ პოზიციაზე. არავითარ ჯანღს არ ძალუძს, საკუთარი აზრი შეაცვლევინოს მათ, არც წმინდა ნინოს, არც თუნდაც მეფეს — არავის!“ მაკაბელთა სიმტკიცე და რწმენის ერთგულება ებრაელი ხალხისთვის მაგალითია იმისა, თუ როგორ არ უნდა აჰყვე ცთუნებას: „მაკაბელებმა შეინარჩუნეს და დაიცვეს იუდაიზმის რელიგიური არსი. უფრო მეტიც, როგორც ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ არა მაკაბელთა აჯანყება, შემდგომში არც ქრისტიანობა იქნებოდა, არც ისლამი, რამეთუ ბრძოლა, რომელსაც მაკაბელები ელინიზმის წინააღმდეგ აწარმოებდნენ, არსებითად, მონოთეიზმისთვის ბრძოლას წარმოადგენდა. მაგრამ იყო ამ ისტორიის ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი მომენტი: „ამ ბრძოლით მაკაბელებმა დაიცვეს ებრაელი ხალხის პატივი და ღირსება“...

ლილი ბააზოვის მეცნიერული კვლევის ყურადღების მიღმა არ რჩება არმაზციხის გათხრებისას აღმოჩენილი მითრიდატე იბერიელის ეპოქის ბილინგვა, სახელოვანი სემიტოლოგის, გიორგი წერეთლის მერ გაშიფრული ორენოვანი წარწერა. მკვლევარი გამოყოფს არამეული ენის შევიწროების ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, რაც საქართველოში ქართული დამწერლობის განვითარების შესაბამისად ხდებოდა. თუმც ეთნიკური უმცირესობები საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, ებრაელები, რომლებიც იმხანად ადგილობრივებად იქცნენ, შესაძლოა, სარგებლობდნენ ძველი ებრაული და არამეული დამწერლობებით. ამაზე მეტყველებს საფლავის ქვების ებრაული წარწერები, რომლებიც მე-4, მე-5 საუკუნეებით თარიღდება და ჩვენი წელთაღრიცხვის მე-3 საუკუნით დათარიღებული ბრინჯაოს ბეჭედი, ებრაულ ენაზე გაკეთებული ლაკონური წარწერით — „მოწმობა“. აღნიშნული გამოიკვლია აღმოსავლეთცოდნეობის ინსტიტუტის თანამშრომელმა ნისან ბაბალიკაშვილმა, რომელიც, როგორც საუკეთესო სპეციალისტი, აქტიურად იყო ჩართული ბიბლიის თანამედროვე ქართულ ენაზე ამეტყველების პროცესშიც.

როგორ წარიმართა ქართველ ებრაელთა ცხოვრება ისტორიის მუდმივად ცვალებად ლაბირინთებში, მოხდა თუ არა მათი ინტეგრირება ქვეყნის სოციო-კულტურულ გარემოში, რამდენად მოახერხეს მათ შეენარჩუნებინათ თავიანთი იდენტობა. იყო თუ არა საქართველოში ებრაელთა ძალით გაქრისტიანების შემთხვევები, როგორ განათლებას იღებდნენ და რა როლს ასრულებდნენ ისინი ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური სივრცის გაჯანსაღებაში. ამ საკითხებზე მსჯელობისას ლილი ბააზოვი შეგვახსენებს, რაოდენ რთული იყო ქართველ ებრაელთა ყოფა, გარემოსთან ადაპტაციის პროცესი. ზოგ შემთხვევაში იგი არ ერიდება ქართველთა და ებრაელთა მშვიდობიანი, უღრუბლო თანაცხოვრების ისტორიულად ჩამოყალიბებული თვალსაზრისის რევიზიას და სათანადო მტკიცებულებებით ამყარებს საკუთარ პოზიციას. საინტერესოა, რა ცნობებს ეყრდნობა მონოგრაფიის ავტორი და რას წერენ ამ საკითხზე თავად ქართველი პუბლიცისტები და საზოგადო მოღვაწეები. აქ მხოლოდ ერთ მათგანზე შევჩერდები: „1881 წელს, გაზეთი „დროება“, დასძენს ლილი ბააზოვი, „გვაცნობებს კულაშსა და სუჯუნაში მომხდარი ინციდენტების თაობაზე“. იგი იქვე იმოწმებს ციტატს, რომელსაც მისი კომენტარი ახლავს: „ევროპასა და რუსეთში ებრაელთა შევიწროების საკითხებზე მსჯელობისას ქართველი პუბლიცისტები და საზოგადო მოღვაწეები თვლიდნენ, რომ — „დარბევებს გაცილებით უფრო ღრმა მიზეზები აქვს, ვიდრე ეს ებრაელთა ზიზღია. ეს მიზეზებია — რუსეთის გლეხობის უკიდურესი ეკონომიკური სიღატაკე... და ეს ბედკრული ხალხი დარწმუნებულია, რომ მათი უბედურებათა მიზეზი ებრაელები არიან!...“

ლილი ბააზოვი განაგრძობს: „ქართული საზოგადოება შეძრული იყო ამ მოვლენებით და ცდილობდა, უწინარეს ყოვლისა, საკუთარი თავისთვის დაემტკიცებინა, რომ — დიახ, სამწუხაროდ, ეს ჩვენთანაც ხდებოდა, მაგრამ მაინც... და ამას დაბნეულობა მოჰყვებოდა, რადგან სინამდვილეში ებრაელებისადმი მტრობას, თავისი არსით, სულ სხვა საფუძველი ჰქონდა. მაშინ, როდესაც ებრაელებისადმი დამოკიდებულება საქართველოში არ სცდებოდა რელიგიური ხასიათის გაშორიშორებას. ამიტომ ყველა, ვინც კი ცდილობდა, XIX საუკუნის მოვლენებისთვის ახსნა დაეძებნა, ჩიხში ექცეოდა“.

რამდენად ეფექტური იყო ქართველ ებრაელთა მოწინავე შვილების ბრძოლა თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. ამ საკითხს ლილი ბააზოვი საქართველოს ისტორიის საკვანძო პერიოდების ფართე სპექტრის ფონზე მიმოიხილავს და, პარალელურად, მსოფლიოში მიმდინარე პროცესების, სხვადასხვა ქვეყნებში ებრაელთა ყოფის, კულტურულ-ეკონომიკური საქმიანობის, მათი ცხოვრების წესზე სოციალური ვითარებისა და პოლიტიკური ცვლილებების გავლენის ხასიათზე მიანიშნებს.

„აი, უკვე ორიათას წელზე მეტი გავიდა, რაც ებრაელობა, მშობლიურ სამშობლოს მზის სხივს და მიწას მოკლებული, მთელ მსოფლიოში გაიფანტა... და რას ვხედავთ? ებრაელი ძველებურად რჩება ებრაელად და სხვადასხვა ხალხებში თავისი ხანგრძლივი მოგზაურობისას, არ კარგავს თავის ეროვნულ სახეს“, — დასძენს ლილი ბააზოვი და მოჰყავს სიონისტების ერთ-ერთ თავყრილობაზე კიევის რაბინის, დოქტორ იამპოლსკის მიერ წარმოთქმული სიტყვა: „ევროპელები შორეულ ქვეყნებში მიდიან, რათა აფრიკის პირამიდები და მათი მუმიები იხილონ. მაშინ როდესაც ავიწყდებათ, რომ უშუალოდ ევროპაში მათ შორის ცხოვრობენ არანაკლებ საინტერესო პირამიდები — მრავალტანჯული ებრაელი ხალხი, რომელიც იმით განსხვავდება ეგვიპტის პირამიდებისაგან, რომ ის ცოცხალია, რომ ის სულიერ პირამიდას წარმოადგენს“. „თუმც ვერ ვიტყვი, — განაგრძობს წიგნის ავტორი, — რომ ევროპელებმა დაივიწყეს ებრაელები, სულაც არა. მაგრამ ვაი, ასეთ ხსოვნას, როცა იგი ისეთ ამაზრზენ მოვლენაში გამოიხატება, როგორიც ანტისემიტიზმია“. აქვე დაბეჯითებით ვიტყვი, რომ საბედნიეროდ, ეს ყოვლად სამარცხვინო მოვლენა — ანტისემიტიზმი საქართველოში არასოდეს, არცერთი მმართველობის პერიოდში, სახელმწიფო პოლიტიკის რანგში არ ყოფილა აყვანილი.

კონგრესი, სადაც დავით ბააზოვმა, როგორც საქართველოში სიონისტური მოძრაობის ლიდერმა, თავისი საპროგრამო სიტყვა წარმოთქვა, გენერალმა ლიფმონმა შემდეგი სიტყვებით დახურა: „შვილებო, ანდერძად გქონდეთ, ვისაც როგორ შეგიძლიათ, ისე გამოხატეთ სიყვარული ქართველი ერის მიმართ!“

„იერუსალიმის დაპყრობა“, „არაბობა“, „დიდი თურქობა“, „მონღოლები“, „თემურ-ლენგი“, „საქართველოს დაშლა“, „თურქეთსა და ირანს შორის“ და სხვა — რომელი ერთი ჩამოვთვალო, ლილი ბააზოვის მონოგრაფიის გაცნობისას მკითხველის თვალწინ საქართველოს ისტორიის მიმზიდველი სურათები გაიელვებს, რომლის ერთი უმნიშვნელოვანი წახნაგია, მართალი ამბავი ორიათასზე მეტი წლის წინათ მოსული და ქართულ მიწაზე დასახლებული ებრაელი ხალხისა, რომლისთვისაც გარესამყაროს აღქმა, ოდითგანვე, სამშობლოს, სულის სიღრმეებში პროეცირებული „აღთქმული მიწის“ მონატრებით იწყება. ლილი ბააზოვის მიერ პირუთვნელი მკვლევრის გატაცებით მოთხრობილი ქართულ-ებრაული საგა ამ უზენაესი ადამიანური რეფლექსიის მშვენიერი ანარეკლია.

ქეთევან ტომარაძე

ვინ იყვნენ სინამდვილეში კლარა ცეტკინი და როზა ლუქსემბურგი?

ქალთა საერთაშორისო დღესთან — 8 მარტთან ორი ქალის სახელი და გვარი ასოცირდება — კლარა ცეტკინი და როზა ლუქსემბურგი.

ვინ იყვნენ ეს ქალბატონები, როგორი ცხოვრება გაიარეს და როგორები იყვნენ სინამდვილეში ეს რევოლუციის ვალკირიები...

ველური კლარა

სკოლის მასწავლებლის ქალიშვილის, კლარა აისნერისგან ასეთ რევულუციურ გამოხტომებს არავინ ელოდა. ის ძალიან საზრიანი იყო, 10 წლის ასაკში უკვე წაკითხული ჰქონდა შილერისა და გოეთეს ყველა ნაწარმოები. მეამბოხე სული დედისგან, ჟოზეფინასგან ერგო, რომელიც შეძლებული ბურჟუას ქალიშვილი და ემანსიპაციის მომხრე იყო. დედას იმედი ჰქონდა, რომ კლარა მამის კვალს გაჰყვებოდა, მაგრამ უმცროს აისნერს ძალიან მჩქეფარე ტემპერამენტი ჰქონდა.

ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლისას შეარქვეს მას „ველური კლარა“, რადგან საკუთარი მოსაზრებების დასაცავად მუშტების გამოყენებაზეც კი არ ამბობდა უარს. ამასთან, გოგონა იმდენად კარგად სწავლობდა, რომ დიასახლისმა უფასო ადგილიც კი გამოუყო. არავის ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ სწავლის დასრულების შემდეგ კლარა პედაგოგობას აირჩევდა. მაგრამ გოგონამ ატესტატის აღებისთანავე განაცხადა, რომ თავს რევოლუციას უძღვნიდა. მშობლები ვერაფერს გახდნენ, მით უმეტეს, რომ რევოლუციით გატაცებისთვის მას რომანტიკული მიზეზები ჰქონდა.

ერთ-ერთ პოლიტიკურ წრეში კლარამ ოდესელი ემიგრანტი ოსიპ ცეტკინი გაიცნო და შეუყვარდა, რომელიც მასზე ოთხი წლით უფროსი იყო — ჭკვიანი, ერუდირებული და მომხიბვლელი. ცეტკინი მალე გაასახლეს გერმანიიდან, როგორც არაკეთილსაიმედო, კლარა კი პარტიული დავალებების შესრულებას კიდევ ორი წელი განაგრძობდა ავსტრიასა და შვეიცარიაში. როგორც კი თანაპარტიელებისგან ნებართვა მიიღო, კლარა მაშინვე პარიზში ოსიპთან გაემგზავრა.

მამაკაცი დაქორწინებას არ აპირებდა, მაგრამ კლარა ამას არ შეუჩერებია, ცეტკინის გვარზე გადავიდა და ორი ვაჟი გააჩინა — მაქსიმი და კონსტანტინი. ქალმა პოლიტიკურ კარიერას თავი ანება და ოჯახს მიუძღვნა თავი. ის კერძო გაკვეთილებს ატარებდა, თეთრეულს რეცხავდა და პოკერსაც კი თამაშობდა ფულზე.

ოსიპი რევოლუციურ მოღვაწეობას განაგრძობდა და მემარცხენე გაზეთებში ბეჭდავდა სტატიებს გროშების ფასად. ის 1889 წელს გარდაიცვალა ტუბერკულოზით. 32 წლის კლარა ორი ბავშვით მარტო დარჩა. ის გერმანიაში თანაპარტიელებთან დაბრუნდა, მოეწყო რევოლუციურ გაზეთ „თანასწორობაში“ და რევოლუციონერ როზა ლუქსემბურგის უახლოესი მეგობარი გახდა.

თვინიერი როზა

როზა ლუქსემბურგის რევოლუციურ მომავალს არაფერი მოასწავებდა. შეძლებული პოლონელი ებრაელების უმცროსმა ქალიშვილმა ბრწყინვალე განათლება მიიღო. ის ოჯახის ნებიერა იყო. მაგრამ როზას მაინც ბევრი კომპლექსი ჰქონდა, რომლებიც მისი გარეგნობით იყო გამოწვეული. ის იყო დაბალი, ჰქონდა არაპროპორციული ფიგურა და თეძოს ამოვარდნის გამო ძალიან კოჭლობდა. შესაძლოა, სწორედ ამის გამო გახდა მისთვის ასე მნიშვნელოვანი სამყაროს შეცვლის იდეა.

თუმცა, არაფერი ადამიანური მისთვის უცხო არ იყო. 19 წლის ასაკში მან ლიტვიდან ემიგრირებული ლეო იოგიხესი გაიცნო და იმდენად შეუყვარდა, რომ მის გამო მზად იყო იატაკქვეშეთი მიეტოვებინა და ოჯახურ ცხოვრებაშიც კი ჩაბმულიყო. სამაგიეროდ, ლეო არ იყო ამისთვის მზად. ის ბრწყინვალე ორატორი იყო, ტკბებოდა იმით, რომ ქალები ეთაყვანებოდნენ და საკუთარი თავის ფასიც იცოდა. ლეომ თავიდანვე უთხრა როზას, რომ ქორწინებას ბურჟუაზიული წარსულის გადმონაშთად თვლიდა და თავისუფალი ურთიერთობების მომხრე იყო. თუმცა ყველაზე ჭკვიანი და მგზნებარე რევოლუციონერი ქალის სიყვარული სიამოვნებდა. მათი ურთიერთობა 20 წელი გრძელდებოდა და, ბოლოს და ბოლოს, როზამ იპოვა საკუთარ თავში იმის ძალა, რომ ყველაფერი დაესრულებინა.

თავად როზაც ასევე იქცეოდა — მამაკაცებთან რომანებს აბამდა და თავისუფალ სიყვარულს უწევდა პროპაგანდას.

გათხოვილი ერთადერთხელ იყო, ისიც ანგარებით, რათა გერმანიის მოქალაქეობა მიეღო ბერლინში გადასვლის შემდეგ. როზა და გუსტავი მხოლოდ მეგობრები იყვნენ და ორი წლის შემდეგ მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს.

რევოლუციური იდეებით დამეგობრებულ კლარას და როზას ბევრი რამ აერთიანებდა: გამჭრიახი გონება, საქმისადმი ერთგულება და შეუდრეკელი ხასიათი. „ჩვენს პარტიაში მხოლოდ ორი ნამდვილი მამაკაცია — კლარა ცეტკინი და როზა ლუქსემბურგი“, — ხუმრობდნენ მათი თანაპარტიელი მამაკაცები.

თუმცა, მათი დაშორების მიზეზი მაინც გაჩნდა...

რევოლუციური სიყვარული

როზა 36 წლის იყო, კონსტანტინ ცეტკინი — 22, როცა ყმაწვილი რევოლუციის იდეებმა და ამ იდეების მგზნებარე მხარდამჭერმა გაიტაცა, რომელიც ტრიბუნაზე გამოდიოდა. მათი იდეური ურთიერთობა სიყვარულში გადაიზარდა და უმცროსმა ცეტკინმა როზაზე დაქორწინებაც კი გადაწყვიტა. ამას კლარა აღუდგა წინ, მაგრამ როზას და კონსტანტინის რომანი რამდენიმე წელს გაგრძელდა, ვიდრე მამაკაცს სხვა ქალი არ შეუყვარდა...

კლარა შვილისა და მეგობრის რომანიდან სხვა რამეზე გადაერთო — სოციალისტურ გაზეთ „თანასწორობაში“ მუშაობისას მან 18 წლის მხატვარი გეორგ ფრიდრიხ ცუნდელი გაიცნო, რომელიც მასზე ორჯერ ახალგაზრდა იყო. გეორგი მის ცოლად მოყვანას არ აპირებდა, მაგრამ კლარამ მაინც დაითანხმა.

მათი ქორწინება ბედნიერი აღმოჩნდა. გეორგი ბევრ სარგებლიან შეკვეთას იღებდა, ისინი მდიდრულად ცხოვრობდნენ, შეიძინეს საკუთარი სახლი და ავტომობილი.

დროთა განმავლობაში ვნება ჩაქრა და 40 წლის გეორგს მეზობლის ქალიშვილი პაოლა ბოში შეუყვარდა, საყოფაცხოვრებო ტექნიკის კომპანიის მწარმოებლის რობერტ ბოშის ქალიშვილი, რომელიც კლარას გაზეთს აფინანსებდა. ცუნდელი კლარასგან წავიდა, მაგრამ ქალი 11 წელი განქორწინებას არ აძლევდა. განქორწინებას ბიძგი პირველი მსოფლიო ომის მიმართ მათი დამოკიდებულება გახდა — კლარა ომის წინააღმდეგი იყო, გეორგი კი მოხალისედ წავიდა ფრონტზე.

შესაძლოა, ამ სიტუაციის გამო შეიცვალა როზასა და კონსტანტინის რომანის მიმართ კლარას დამოკიდებულება. როცა კონსტანტინმა როზას მიტოვება განიზრახა, ქალმა მაგობრის მხარე დაიჭირა. როზაც ცდილობდა მამაკაცის შენარჩუნებას, მაგრამ ის მაინც წავიდა, ჯერ ომში, მერე კი — ფრანკფურტის უნივერსიტეტში სასწავლებლად.

როზას კიდევ ჰქონდა ერთი ხანმოკლე რომანი იურისტ პაულ ლევისთან. ამის შემდეგ კი თავი მთლიანად რევოლუციას მიუძღვნა.

1919 წელს ბერლინში მუშათა აჯანყების ჩახშობისას როზა პოლიციელებმა ცემით სიკვდილამდე მიიყვანეს და ციხისკენ მიმავალ გზაზე მდინარეში ჩააგდეს. ის მხოლოდ 48 წლის იყო.

კლარა ცეტკინი მეგობრის გარდაცვალებიდან 15 წლის შემდეგ წავიდა ამქვეყნიდან, მაგრამ დანაკარგს ვერ შეეგუა. კლარა სსრ კავშირში გადმოვიდა საცხოვრებლად. ის განაგრძობდა პოლიტიკურ ბრძოლას გერმანიაში და გამოდიოდა ფაშიზმის წინააღმდეგ. კლარა ცეტკინი 1933 წელს 76 წლის ასაკში გარდაიცვალა მოსკოვთან ახლოს. მისთვის ყველაზე ახლობელ ადამიანად მაინც როზა ლუქსემბურგი დარჩა. სწორედ მისი სახელი იყო უკანასკნელი, რაც კლარამ ამოთქვა...

ბელა გველესიანი
568 90 81 22

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი
ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74
გაზეთის გავრცელების სამსახური: 599 58-72-50. ბესო ცარციძე (მენეჯერი).
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99
ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562
http://www.saertogazeti.ge